# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 13 დეკემბერი 2005 №286 (2609) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ოლიმპიაკოსმა განუგრავაც ახსენა**

4



**ლოკომოტივი სერბულ ლიანდაგზე**

ასათიანს მუსლინი მიუვიდა

6



**შემონდ უილიამსის ელ-კლასიკური ჯარიმა**

მადრიდი შავ ქართველს გადაეკიდა

12

# ნუთუ გვეღირსა სანტა კლაუსი?

## ტოპმიოლერს კარგი პირი უჩანს



# ბედი ქართლისა

## კალაძე დააცენტრეს, კობიაშვილს თავი მოაშორეს




კლაუს ტოპმიოლერი იქნება თუ სხვა, საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს ძველ ვარსკვლავებზე მოუწევს დაყრდნობა, ხოლო ამ ვარსკვლავთაგან ორის, კახა კალაძის და ლევან კობიაშვილის კარიერაში ამ დღეებში სიახლე იყო: კალაძეს მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ დაცვის ცენტრი ანდო და თან უბრალო მატჩში კი არა, თვით მილანურ დერბიში, ხოლო კობიაშვილის გუნდმა „შალკემ" მწვრთნელი, რალფ რანგნიკი გაათავისუფლა თანამდებობიდან. დაგვეთანხმებით, როგორც ერთი, ასევე მეორე ცვლილება, შესაძლოა, უმნიშვნელოც აღმოჩნდეს და საეტაპოც იმ ქართველი ფეხბურთელების ცხოვრებაში, რომელთაც წინა კვირაში ჩემპიონთა ლიგაში მოუხდათ დაპირისპირება.

საით წაიყვანს ბედი ჩვენს ნაკრებს და მის ლიდერებს? ამ კითხვაზე დრომ უნდა გასცეს პასუხი, ჩვენ კი შეგვიძლია, ხეზე სამჯერ დავაკაკუნოთ..





**თბილისის** „თბილისი“, თბილისის „დინამო“, საქართველოს ეროვნული ნაკრები, უამრავი ქომაგი და იმედი... იმედი იმისა, რომ „ოდო“ დიდ ფეხბურთს ითამაშებს, რომ ეს მისი პიკი არ არის...

ეს მხოლოდ ერთი მხარეა, ერთი წახნაგია დავით ოდიკაძის პიროვნებისა, რომლის გარდაც ბევრი შეიძლება ილაპარაკო ადამიანურ წესიერებაზე, ულალატო მეგობრობაზე, ალალ ახალგაზრდა კაცზე. თუმცა, მის ცხოვრებაში ყველაფერი შეცვალა ერთმა დღემ, წუთმა, წამმა, რომელიც ორი ოჯახის ტრაგედიად იქცა. ტრაგედიად იქცა თავად დათო ოდიკაძისთვისაც და მთელი სამი თვე ვერც ჩვენ გავბედეთ ამ მოუშუშებელ ჭრილობასთან შეხება.

დათო ოდიკაძე წინასწარ პატიმრობაშია და სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის. ნებისმიერი სასჯელის მიზანს საბოლოო ჯამში საზოგადოების გაკეთილშობილება, დაცულობის ხარისხის გაზრდა წარმოადგენს. აშკარად ვცილდებით ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს, მაგრამ... მისი წილი სასჯელი მას განგებამ უკვე დააკისრა და ამას ვერსად გაექცევა. საზოგადოებისთვის კი ერთი, თუნდაც ძალიან კარგი ფეხბურთელის დაკარგვა ტრაგედია ვერ იქნება. ტრაგედია ის არის, რომ ამგვარი რამ მართლაც წესიერ ახალგაზრდა კაცს შეემთხვა. დასაკარგად და გასაწირად პირველ რიგში „ოდო“ არ გვემეტება.

# ლოკო-ტრანსფერ-მოტივები

## ბათუმის ონიანი, სიონის სირბილაძე, ზესტაფონის მახვილაძე და დინამოს ტრიო



ბადრი კეთილაძის ფოტო

რონ ონიანს (№2) „ბათუმი“ ეპატიჟება

**თბილისის** „ლოკომოტივი“ დაიშალა და ქართული კლუბებიც დაფაცურდნენ. აბა, ვის არ უნდა ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერისგან წამოსული ფეხბურთელები?! ჰოდა, ეს დღეებია, ათასი ჭორ-მართალი ისმის.

პირველი, რაც ითქვა, თბილისის „დინამოში“ სამი ლოკომოტიველის შესაძლო ტრანსფერია — გიორგი სეთურიძე, ლაშა ქებაძე და გიორგი კახელიშვილი დინამოელთა ინტერესის სფეროში არიან და რა გამოვა ამ საქმიდან, ჯერ ძნელი სათქმელია.

შევიტყვეთ ისიც, რომ „ბათუმი“ რონ ონიანის გადაბირებას ცდილობს და მოლაპარაკებებიც უკვე დაწყებულია. წინაღობა, რამაც შესაძლოა, ეს ტრანსფერი შეაფერხოს, ონიანის უცხოეთში თამაშის სურვილია — რონს რუსეთში ან უკრაინაში წასვლაც სურს, თუმც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

კიდევ ერთი ლოკომოტიველი ირაკლი სირბილაძე კი ბოლნისის „სიონს“ მოსურვებია. ბოლნისელებს ჯერ „მადნეულის“ ახალ პატრონებთან აქვთ საქმე მოსაგვარებელი და მოლაპარაკებებიც ალბათ ამის შემდეგ გახურდება.

და კიდევ: სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელებად ითვლებიან გიორგი ონიანი და მიხეილ მახვილაძე, რომლებსაც რამდენიმე ვარიანტი გამოუჩნდათ და ახლა წინადადებებს განიხილავენ. ისიც ითქვა, რომ მახვილაძე ალბათ უფრო „ზესტაფონში“ გადავა.

ვნახოთ...

**ლუკა თალაკვაძე**

# ალმასკომი: მინუს ორი 22-ში



**22 დეკემბერს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა გაიმართება. მთავარი საკითხი ალმასკომიდან ალექსანდრე ჩივაძის და ლევან ყიფიანის წასვლის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილება იქნება. თუმცა ამის გარდა, ალმასკომელები სხვა მეტ-ნაკლებად საინტერესო ამბებსაც განიხილავენ.

**ლუკა თალაკვაძე**



| ინგლისი |
|---|
| პრემიერლიგა. XVI ტური |
| ტოტენჰემი 2:1 პორტსმუთი |

| ჰოლანდია |
|---|
| II დივიზიონი გადადებული მატჩები |
| აპელდორნი 2:2 გრაფსხაპი |
| დენ ბოსხი 2:0 კამბური |
| ეინდჰოვენი 2:1 ემენი |
| ვოლენდამი 1:2 ოსი |
| იგლსი 1:0 ვენლო |

| გერმანია |
|---|
| მეორე ბუნდესლიგა XVI ტური |
| ფრაიბურგი 0:2 ალემანია |

| იტალია |
|---|
| სერია B XIX ტური |
| მოდენა 4:1 ბარი |
| სერია C1/A XV ტური |
| რავენა 0:0 ჩიტადელა |

| პორტუგალია |
|---|
| სუპერლიგა. XIV ტური |
| სეტუბალი 1:0 ბელენენსეში |

| საბერძნეთი |
|---|
| ეროვნული ლიგა. XIII ტური |
| ოლიმპიაკოსი 4:0 ლარისა |

| ესპანეთი |
|---|
| სეგუნდადივიზიონი XVI ტური |
| მალაგა B 0:1 ლეიდა |

## გერმანული პრესა ოტო რეჰაგელზე



Bild.de

ტოპი საქართველოში?

SAT.1 NEWS

ტოპმიოლერი თბილისშია

N24

ტოპმიოლერი მოლაპარაკებას ქართველებთან აწარმოებს

SPIEGEL

ტოპმიოლერი ქართველებს ელაპარაკება

n-tv.de

ტოპმიოლერი მოლაპარაკებებში ჩაერთო

NETZEITUNG

ტოპმიოლერი ქართველებს შეხვდა

stern shortnews

გახდება ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი?

Frankfurter Neue Presse

ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად?

მოლაპარაკებები თბილისში დაიწყო

# ფედერაცია ჩემი გულის მოგებას ცდილობს

## კლაუს ტოპმიოლერი: მთავარი ფული კი არა, გული და სულია

**სალათისფერი სვიტერი, ჯინსები, სპორტული ფეხსაცმელი, არანაირი მიმიკა, სანდომიანი გამოხედვა, ტანკენარი მეუღლე — ასეთნაირად კმაზული კლაუს ტოპმიოლერი გუშინდელ პრესკონფერენციაზე გამოთქვამდა თავის შეხედულებებს და ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მასთან კონტრაქტის გაფორმებასთან ძალიან ახლოსაა, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი მისი გასაწვრთნელი იქნება. ყველაფერი ეს ჯერ ოდენ შთაბეჭდილებაა და ჰერ კლაუსმაც საუბარი პირველი შთაბეჭდილებებით დაიწყო...**




— საქართველოში პირველად ვარ. სამწუხაროდ, აქამდე, როგორც მწვრთნელი ან ფეხბურთელი, აქ არ ჩამოვსულვარ. რადგან საქართველოში მოწვევას დავთანხმდი, ესე იგი, თვითონაც ვარ დაინტერესებული აქ მუშაობით. ჩემი ახლანდელი ვიზიტი გაცნობითი ხასიათისაა. ვნახე ნაკრების და თბილისის „დინამოს" ბაზები. მეუღლეც ჩემთან არის, რადგან, სადაც კი მუშაობას ვიწყებდი, ამას მეუღლესთან ვათანხმებდი. საქართველოში გულითადად მიმიღეს, რისთვისაც მადლობელი ვარ.

**— საქართველოში მუშაობის შანსებს როგორ აფასებთ?**

— საამისო შანსები საკმაოდ კარგია, მაგრამ ამ საკითხზე ოჯახთან უნდა ვითათბირო.

**— თქვენ სხვა შემოთავაზებებიც გაქვთ...**

— შემოთავაზება მივიღე რეგიონალლიგის „ჰოფენჰაიმიდან", სადაც ნიჭიერი ახალგაზრდებით კარგი გუნდის გაკეთება სურთ და რადგან ტალანტების აღმოჩენაში კარგი თვალი მაქვს, სამუშაო შემომთავაზეს. მოკლედ, რამდენიმე არჩევანი მართლა მაქვს და საქართველო მათ შორის წინ დგას.

**— კონტრაქტის თაობაზე უკვე გქონდათ საუბარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან?**

— კონტრაქტის დეტალებზე ჯერ არ გვისაუბრია, ახლა უბრალოდ აქაურობას ვეცნობი.

**— კონტრაქტისთვის მთავარი ფინანსური საკითხი იქნება?**

— ფინანსური საკითხი მთავარი რომ იყოს, მაშინ სხვაგან ვიმუშავებდი. ფული მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. ორი თვის წინ უარი ვთქვი „ტრაბზონსფორის" ფინანსურად მიმზიდველ წინადადებაზე, რამდენიმე თვის წინ კი დუბაიდან მქონდა ასევე ფინანსურად სარფიანი შემოთავაზება, მაგრამ ევროპელისთვის დუბაიში მუშაობა მაინცდამაინც მიმზიდველი არაა, „ტრაბზონსფორში" კი ბევრი პრობლემა დაგროვდა, გუნდმა თურქეთის ჩემპიონატში თამაში ცუდად დაიწყო და სეზონის მსვლელობისას მომიწევდა პრობლემების გადალახვა.

**— საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი თამაშები თუ გინახავთ?**

— საბერძნეთს შინ რომ ეთამაშეთ, იმ მატჩს ვუყურე, როცა 1:0-ს იგებდით, გამარჯვების კარგი შანსი გქონდათ. ვნახე საქართველო — უკრაინაც. კარგად ვიცნობ გერმანიაში მოთამაშე ქართველებს — კობიაშვილს, ცქიტიშვილს და იაშვილს. ქართველი ფეხბურთელების გვარებს ძნელად წარმოვთქვამ... ისე კი, მქონდა შემოთავაზება ინგლისიდანაც, თვალყურს ვადევნებდი იქაურ ფეხბურთს და კარგად ვიცი, თუ ვინ არის ბლექბერნელი ხიზანიშვილი. ვიცი, რომ „ტვენტეში" თამაშობს გახოკიძე, ხოლო „ალკმაარში" არველაძე, ვისი ძმა რევაზიც მინი-ფეხბურთის მეფე იყო. ასათიანი საყოველთაოდაა ცნობილი, აღარაფერს ვამბობ კალაძეზე...

**— და მიგაჩნიათ, რომ ამ კონტინგენტით ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა შესაძლებელია?**

— ასეთ დაპირებას ვერავინ იძლევა. ნაკრების მწვრთნელობა დიდი გამოწვევაა და მთავარია მუშაობა, რათა მივაღწიოთ იმას, რასაც არავინ ელის.

**— კონტრაქტის გაფორმებამდე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრას ხომ არ ელით?**

— არა, კენჭისყრის შედეგებს მნიშვნელობა არ აქვს.

**— შედეგისთვის აუცილებელია იღბალიც — საკუთარ თავს იღბლიან მწვრთნელად მიიჩნევთ?**

— ბედისწერით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. „კაიზერსლაუტერნის" ისტორიაში ყველაზე მეტი გოლი გავიტანე, „კაიზერსლაუტერნის" საუკუნის საუკეთესო 11 ფეხბურთელში მოვხვდი, ორჯერ ვიყავი წლის საუკეთესო მწვრთნელი გერმანიაში, ერთხელ ევროპის სამ საუკეთესო მწვრთნელს შორისაც დამასახელეს...

**— თქვენს სამომავლო გადაწყვეტილებას მნიშვნელოვნად განაპირობებს თქვენი მეუღლის აზრი?**

— 28 წელია, რაც მასთან დაქორწინებული ვარ, გვყავს სამი შვილი — ქალიშვილი მომღერალია, ერთი ვაჟი ფეხბურთელია, მეორე კი 16 წლისაა და სკოლაში დადის. ფეხბურთელის კარიერა ისეთია, რომ ოჯახურ ცხოვრებას საფრთხეს უქმნის, მაგრამ როცა გადაწყვეტილებას ვიღებ, მთელი სულით და გულით ვრჩები ამ გადაწყვეტილებასთან.

**— საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებიდანაც გქონდათ სანაკრებო შემოთავაზებები?**

— დიახ, მაგრამ არა ევროპული ქვეყნებიდან. მსოფლიო ჩემპიონატზე გასული ერთ-ერთი ნაკრებიდან ახლაც მაქვს შემოთავაზება.

**— მაინც რა სტადიაშია მოლაპარაკება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან?**

— უკვე შესაძლებელია, რომ მოლაპარაკება დავიწყოთ უშუალოდ კონტრაქტზე. გადამწყვეტი სპორტული ფაქტორი იქნება და არა ფინანსური.

**— როგორც ვიცით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან აგენტებმა დაგაკავშირეს — ისინი მონაწილეობას აღარ მიიღებენ მოლაპარაკებაში?**

— 18 წლის ასაკიდან აგენტი არ მყოლია. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ საქართველოს ინტერესის შესახებ სწორედ აგენტებისგან, სკრელიასა და ტონიასგან შევიტყვე. მეორე დღეს დამირეკა თქვენი ფედერაციის პრეზიდენტმა და მითხრა, თქვენი ტელეფონის ნომერი გერმანიის საფეხბურთო კავშირის ტექნიკური დირექტორისგან, ერიხ რუტემიოლერისგან შევიტყვეო. აგენტებსა და ფედერაციას შორის რა ურთიერთობაა, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ისე, როცა რომელიმე კლუბი ჩემით დაინტერესდებოდა, ათეულობით პიროვნება მირეკავდა და აგენტობას მთავაზობდა. ამ სიტუაციას ჩვენ ვერ შევცვლით.

**— ერთ დღეში მიემგზავრებით და კიდევ ერთხელ გვითხარით, რა შთაბეჭდილებები გრჩებათ?**

— შთაბეჭდილებები დადებითია, ფედერაცია ჩემი გულის მოგებას ცდილობს.

**— თქვენი ეტალონი მწვრთნელი?**

— ტაქტიკური ასპექტის მხრივ ასეთი არიგო საკია.

**— მუნდიალზე გერმანიის ნაკრების შანსებს როგორ აფასებთ?**

— გერმანიის ნაკრებს ჯერ არ უჩვენებია ის, რაც შეუძლია. მის წარმატებას დიდად შეუწყობს ხელს სამშობლოში შექმნილი ატმოსფერო. ტურნირის ფავორიტად კი ბრაზილიას მივიჩნევ.

**— თქვენ ტექნიკური ფეხბურთის მიმდევრად ითვლებით...**

— აუცილებელია, მყარი დაცვა გყავდეს, მაგრამ ფეხბურთი თამაშია და ის უნდა ითამაშო. ოჯახის უფროსი მთელი კვირა რომ მუშაობს, უქმეები უნდა უხაროდეს, რათა ფეხბურთზე წავიდეს და ისიამოვნოს. აუცილებელია ტაქტიკური მოქნილობაც. როცა „ლევერკუზენს" ვწვრთნიდი, „ბარსელონასთან" პირველი ტაიმი 0:1 წავაგეთ, რადგან ნახევარდაცვაში მეტოქე რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდა. მეორე ტაიმისთვის 4-4-2-დან 3-5-2-ზე გადავეწყვეთ და 2:1 მოვიგეთ. უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები ტაქტიკურად ისეთ დონეზე არიან მომზადებულნი, რომ შესაძლებელია ტაქტიკური ვარიაციების განხორციელება.

**— საბოლოოდ როდის გაირკვევა თქვენი საქართველოში მუშაობის საკითხი?**

— 2006 წლის დასაწყისში ყველაფერი გარკვეული იქნება, რადგან თებერვალში ნაკრებმა მალტის ტურნირში უნდა ითამაშოს.



**დავით თავართქილაძე**



ჯაბა კანკავა თუ გიორგი განუგრავა: „ოლიმპიაკოსი“ ერთ-ერთს უმიზნებს

ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ოლიმპიაკოსმა განუგრავაც ახსენა

ბერძნულ „ოლიმპიკოსს“ რომ ჯაბა კანკავას გადაყვანა სურს, გუშინაც გაუწყეთ. რამდენიმე ბერძნულმა გაზეთმა 19 წლის ქართველის მონაცემები და დახასიათება გამოაქვეყნა — ბერძენი ჟურნალისტები 2004-05 წლების სეზონში თბილისის „დინამოს“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაზე წერენ და აღნიშნავენ, კანკავა გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყოო.

ჯაბას გარდა, ბერძნულმა პრესამ „ზესტაფონის“ 17 წლის გიორგი განუგრავაც ახსენა — ამბობენ, „ოლიმპიკოსს“ ამ ორიდან ერთ-ერთი აინტერესებსო. ისე, განუგრავამ ორი თვის წინანდელ საბერძნეთ — საქართველოს მატჩში ითამაშა და მისი ასაკის ფეხბურთელის ეროვნულ ნაკრებში გამოჩენა რამდენიმე კლუბს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა...

**ლუკა თალაკვაძე**

# სწავლა, სწავლა და ვან გაალი

## ცხადაძე ალკმაარშია






გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე გუშინ ჰოლანდიაში ჩავიდა — ერედივიზიონის ლიდერ „ალკმაარში“ სამწვრთნელო სტაჟირებას გაივლის.

ცხადაძე „ალკმაარში“ ალკმაარელი შოთა არველაძის თაოსნობით მოხვდა. სწორედ არველაძე შეუთანხმდა გუნდის მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალს ცხადაძის სტაჟირების თაობაზე.

ცხადაძე „ალკმაარში“ დაახლოებით ერთკვირიან სტაჟირებას გაივლის — დაესწრება გუნდის ვარჯიშებს და ვან გაალის თეორიულ მეცადინეობებსაც, რაც მისთვის, ცხადია, ძალიან სასარგებლო იქნება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ქართველები უცხოეთში

# კობიაშვილი მაინცთან უშტატოდ დარჩა



მიხეილ საჯაია

***კახა კალაძე „მილანის“ ძირითადში გამოჩნდა, თანაც ახალ პოზიციაზე — ცენტრალურ მცველად.*** მილანურ დერბიში კალაძე და მისი თანაგუნდელები ბევრს ეჯაჯგურნენ მოქიშპე „ინტერს“, თუმც მაინც ვერაფერი გააწყვეს და 2:3 დამარცხდნენ. შედეგად, „მილანმა“ მეორე ადგილი დათმო და ახლა „იუვენტუსის“ გარდა „ფიორენტინასაც“ ჩამორჩება.

***ჩემპიონთა ლიგაში „ეინდჰოვენთან“ გატანილი ორი პენალტის მერე ლევან კობიაშვილი „შალკეს“ პენალტისტად გადაიქცა, მაგრამ...*** ბუნდესლიგის მე-16 ტურში, „მაინცთან“ მატჩში „კობის“ მიზანმა უმტყუნა და კარს აცილა. „შალკემ“ „მაინცს“ მაინც გაუტანა — 58-ე წუთზე ბრაზილიელმა მარსელო ბორდონმა იფოჩალა და სამი ქულა მოუტანა გუნდს.

***რა თქმა უნდა, გაიტანა რეგიონალლიგის ბომბარდირმა მიხეილ საჯაიამ.*** მისი „ბაიროითი“ სტუმრად „მიუნხენ 1860“-ის მოყვარულებთან 1:2 დამარცხდა, თუმცა, როგორც გითხარით, საჯაიამ ამჯერადაც გამოიჩინა თავი და მეთექვსმეტე მატჩში უკვე მეთორმეტე ბურთი შეაგდო.

***ჰოლანდიაში ქართული დერბი გაიმართა — შოთა არველაძის „ალკმაარი“ გოგა გახოკიძის „ტვენტეს“*** ესტუმრა და 3:1 დაამარცხა, არადა, თავიდან აგებდა. ჩვენიანები ძირითადში იყვნენ, თუმც შოთა 62-ე წუთზე შეცვალეს.

***კვიპროსზე თასის ჯერი იყო*** და „ანართოსისმა“ ქართველების გოლებით 3:1 დასცა „დიგენისი“. ფამაგუსტელთაგან სამივე ჩვენებური გამოირჩა — *თემურ ქეცბაია, კლიმენტი წიტაიშვილი და გიორგი გაბიდაური.*

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ინტერი 2:3 | 90 | | 7 | 1 | 3 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | მაინცი 1:0 | 90 | ვერ გაიტანა პენალტი | 16 | 0 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | შ | შტუტგარტი 0:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 12 | 0 | 12 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | ერფურტი 1:2 | 78 | შეცვალეს | 17 | 1 | 3 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | მიუნხენი (მ) 1:2 | 90 | 1 გოლი | 16 | 12 | 10 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ვესტ ჰემი 3:2 | 90 | | 11 | 0 | 12 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ალკმაარი 3:1 | 62 | შეცვალეს | 15 | 13 | 1 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ტვენტე 1:3 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 0 | 12 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | პაშინგი 1:3 | 90 | | 19 | 6 | 8 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ხარკოვი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 2 | 13 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ტავრია 1:0 | 0 | | 16 | 6 | 6 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | ვოლინი 0:1 | 90 | | 18 | 1 | 11 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | ილიჩევეცი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 0 | 5 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | შახტარი 0:2 | 90 | | 17 | 5 | 12 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | შ | ზაკარპატიე 4:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | კალითეა 2:2 | 0 | | 9 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. თასი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | დიგენისი 3:1 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | | | |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | შ | დიგენისი 3:1 | 90 | 1 გოლი | | | |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | დიგენისი 3:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | | | |
| ლევან ქებაძე | აშნა | შ | აელ 1:4 | 61 | შეცვალეს | | | |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## თბილისის დინამო 80 წლისაა

# დინამო იყო...

1987-88 წლების სეზონში „დინამოს“ გერმან ზონინი წვრთნიდა, გუნდმა კი უეფას თასზე ითამაშა.

1/32 ფინალში „დინამო“ სოფიის „ლოკომოტივს“ შეხვდა, ბულგარეთის დედაქალაქში 1:3 წააგო, შინ კი 3:0 მოიგო და 1/16 ფინალში ბუქარესტის „ვიქტორიას“ დაეჯახა. ის ორთაბრძოლაც „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა (2:1 და 0:0) და, სხვათა შორის, მაშინ იყო, ბუქარესტში ქართველი გულშემატკივრები ორგანიზებულად რომ გაუშვეს საქომაგოდ. რუსთაველზე, ახლა „მარკო პოლოს“ რესტორანი რომ არის, იმ ადგილას სტენდზე ფოტოები იყო გამოქვეყნებული — როგორ გულშემატკივრობდნენ ქართველები რუმინეთში „დინამოს“.

მერვედფინალში კი „დინამოს“ „ვერდერი“ დაეჯახა.

დაეჯახა ერთია და, რა დრო იყო, ისიც უნდა გავიხსენოთ. ეროვნული მოძრაობა ის იყო, ძალას იკრებდა, 1989 წლის აპრილამდე კი ერთი წელი რჩებოდა...

1/16 ფინალში „ვერდერი“ მოსკოვის „სპარტაკს“ შეხვდა. რუსებმა პირველი მატჩი 4:1 მოიგეს და ყინჩად იყვნენ, საპასუხოში, აბა, რა უნდა მოხდესო.

მოხდა — ბრემენში მატჩი გერმანელებმა მოიგეს 4:1 და დამატებით დროში მოსკოველებს კიდევ ორი გოლი გაუტანეს. „სპარტაკის“ მწუხარება მაშინ უნდა გენახათ...

ჰო, ბრემენული მატჩისას საბჭოთა გულშემატკივრებმა პირველად ვნახეთ სარეკლამო ბანერი, რომელიც გვირჩევდა, „ვოდკა გორბაჩოვი“ დალიეთო.

მოკლედ, „ვერდერმა“ „სპარტაკი“ სამარცხვინოდ გააგდო, წილისყრამ კი მერვედფინალში „დინამოს“ დააჯახა.

პირველი მატჩი ბრემენში დასავლეთგერმანელებმა 2:1 მოიგეს, ანუ თბილისში, ვ.ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ჩვენ 1:0-იც გვაწყობდა და რა არის ერთი გოლი...

ბილეთები არ იშოვება. თამაშამდე რამდენიმე დღე რჩება, მე კი სახლში ცხვირჩამოშვებული დავდივარ და ჩემებს ვეხვეწები, რამე ჰქენით, ბილეთი მიშოვეთო (იმ დროს სკოლის მოსწავლე ვარ და ოჯახის კმაყოფაზე ვიმყოფები).

ეტყობა, ჩემებს ძალიან შევეცოდე, მიდგნენ, მოდგნენ და თამაშის წინა დღეს ერთი ბილეთი მიშოვეს. სიხარულით ცას ვეწიე, მაგრამ... მალე ჭამაში მოდისო და, ერთი ბილეთი უკვე აღარ მაკმაყოფილებს, მარტო ხომ არ წავალ, როცა ჩემი ძმაკაცი მიშა სარჯველაძე ჯერაც უბილეთოა. სახლში ერთი კი დავიწუწუნე, მიშასთვისაც მიშოვეთ ბილეთითქო, მაგრამ კინაღამ ის სიმწრით ნაშოვნიც ჩამომართვეს და გავჩუმდი.

თამაშის დღეა. სკოლაში მე და მიშა გეგმებს ვაწყობთ, რომ მე კონტროლს გავივლი, მერე ბილეთს ღობიდან გამოვაწვდი და კონტროლმოხეული ბილეთით ეგებ შემოაღწიოს. თუმცა ორივე ვხვდებით, რომ უიმედო ვარიანტია, მაგას რომელი კონტროლიორი ჭამს...

ამ ბჭობაში ვართ, რომ მასწავლებელი ჩვენს კლასელ დათო მარკოზაშვილს შენიშვნას აძლევს, რვეულში რაღაცეების ხატვას თავი დაანებე, მე მისმინეო.

მე და მიშას გონება გვინათდება: მარკოზაშვილი მაგრად ხატავს!

შესვენებაზე მარკოზაშვილს ჩემს ბილეთს ვანახებთ და ვეუბნებით, რომ არ გვაინტერესებს, როგორ და რანაირად, მაგრამ ბილეთი თავისი ბეჭდიანად უნდა დაგვიხატოს (მაშინ შავ-თეთრი ბილეთები იყო, ბეჭედი კი ლურჯად ერტყა). დათო ჭოჭმანობს, რომ არ გამომივიდესო, ჩვენ კი ვამშვიდებთ, შენი რა მიდის, სცადე...

საღამოს მე და მიშა სტადიონზე მივდივართ. პლეხანოვზე ტევა არ არის, იმდენი ხალხია. კმაყოფილები ვართ — რაც უფრო მეტი ხალხია, კონტროლიორების ყურადღება უფრო მოდუნებული იქნება. ბილეთებს ვაწვდით — დახატული ბილეთი ნაღდი ბილეთის ქვეშ გვაქვს ამოდებული და ერთმანეთს ვაწვებით, რომ როგორმე დროზე გადავლახოთ კონტროლიორის ბარიერი.

გადავლახეთ...

**კოტე ქიქელია**

90-იან წლებში „დინამოსა“ და მთლიანად ქართული ფეხბურთის ისტორია ახლებურად დაიწყო, თუმც რატომ განვაცალკევოთ? „დინამო“ ხომ ისევ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი იყო. ეგაა, „დინამო“ უკვე აღარ იყო საქართველოს ნაკრები და, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებლობის გზაზე შედგომამ და ეროვნულმა ნაკრებმა ქვეყნის პირველი კლუბის სახელი ცოტა დაჩრდილა. ...რთული პერიოდი იყო, ქვეყნის ეკონომიკური გაჭირვება უკიდურესობას აღწევდა და გინდა-არგინდა, ამან „დინამოზეც“ იმოქმედა. რა თაობა იყო 1993 წელს, „ლინფილდთან“ რომ გაილაღა და სიხარული ჩამწარდა... მერე ეს თაობაც დაიშალა, „დინამოს“ შემადგენლობა თითქმის ყოველწლიურად იცვლებოდა...

ნოდარ აკობია — იგი ჯერ 1991 წელს, შემდეგ კი 1994-98 წლებში იყო გუნდის მეორე მწვრთნელი, ერთი ხანობა მთავარი მწვრთნელიც გახლდათ და იმდროინდელი „დინამოს“ ცხოვრებაზეც მოგვითხრობს...



# დინამოს წადი-პოლიტიკა

## ბასკებს ქართველთა ნათესაობა სწყინდათ

— „დინამოში“ ჯერ კიდევ საბჭოეთის დროს ვმუშაობდი. დამოუკიდებლობის პერიოდში კი, 1991 წელს, რევაზ ძოძუაშვილის თანაშემწე ვიყავი. მაშინ „დინამოს“ არც ერთ ფეხბურთელს არ უნდოდა გუნდში დარჩენა, ყველას უცხოეთისკენ ეჭირა თვალი. ფინანსურად სხვა კლუბებზე უკეთესად კი გამოვიყურებოდით, მაგრამ მაინც დესტაბილიზაცია იყო, ამ ფინანსებს მყარი არ ეთქმოდა. კლუბის პრეზიდენტი იმხანად ოთარ წეროძე გახლდათ, ერთ წელიწადში კი მერაბ ჟორდანია დაინიშნა.

— 1992 წელს მე და ცხონებული დავით ყიფიანი კვიპროსზე წავედით სამუშაოდ, ნიქოზიის „ოლიმპიაკოსს“ ვწვრთნიდით, სოსო ჭედია და კახა კაჭარავაც წავიყვანეთ. 1994 წელს „დინამოს“ თავკაცად ყიფიანი დაინიშნა, მე კი მისი თანაშემწე გავხდი. ყველა ფეხბურთელი წასვლას ეშურებოდა, წარმოიდგინეთ, მწვრთნელები ვერც კი ვიგებდით, როდის მიდიოდა ფეხბურთელი უცხოეთში, რადგან ჩვენ არავინ გვეკითხებოდა. ერთხელ დილის ვარჯიშზე ლევან კობიაშვილი არ გამოჩნდა, ყიფიანმა მოიკითხა და უთხრეს, წუხელ გერმანიაში გაფრინდაო. ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად — როგორც კი ვინმე ერთ სეზონს მაინც ნორმალურად ჩაატარებდა, მისთვის „დინამო“ უკვე დასრულებული იყო. კლუბის ხელმძღვანელობისგან კი მხოლოდ დაპირებები ისმოდა, გუნდს შევინარჩუნებთო. არადა, ყველანი ტრანსფერებით იყვნენ დაკავებული.

— ასეთი მიგრაციის შეჩერება შეიძლებოდა. როგორ, უკრაინაში, რუსეთსა და ბალტიისპირეთში თუ შეჩერდა, საქართველოში არ მოხერხდებოდა?! ერთიცაა, წასულების ნაცვლად კარგი ფეხბურთელები მოდიოდნენ, სხვა ქართული გუნდებიდან ყველა „დინამოში“ ლამობდა გადასვლას, თუმც ყოველწლიურად ახალი კონტინგენტის ჩამოყალიბება როგორი საქმეა... მწვრთნელები კი კლუბის ხელმძღვანელებს ვერ შევეწინააღმდეგებოდით, რადგან გვეტყოდნენ, თუ არ გინდათ ასე მუშაობა, წადითო.

— 1995 წელს უეფას თასზე სწორედ მთელი გუნდის დაშლის გამო ვერ ვაჩვენეთ შედეგი, მომდევნო წელს კი სამი ეტაპი გავიარეთ, მათ შორის, საკმაოდ ძლიერ მოსკოვის „ტორპედოს“ ვაჯობეთ. გოჩა ჯამარაული იმ სეზონის დასაწყისში „ტრაბზონიდან“ დაბრუნდა, ბაზაზე ვარჯიშობდა და ვურჩიეთ, „დინამოში“ ეთამაშა ერთი სეზონი. ჯამარაული დაგვთანხმდა და სწორედ მისი ორი გოლით გავაგდეთ „ტორპედო“.

— „ტორპედოსთან“ პოლიტიკურად დატვირთული თამაშები არ ყოფილა. არიქა, რუსები არიან და მტრებად უნდა შევხვდეთო, ფეხბურთელებისგან ასეთი არაფერი გაგვიგონია. პირიქით, მოსკოვში ძალიან თბილად დაგვხვდნენ. ბუნებრივია, ყიფიანს განსხვავებულად ეფერებოდნენ. „დინამოში“ შეგვპირდნენ, თუ „ტორპედოს“ გააგდებთ, სერიოზულ პრემიებს მიიღებთო — ეს უკვე სტიმული იყო. გარდა ამისა, მოსკოველებთან თავის გამოჩენა ფეხბურთელებს უცხოეთში წასვლაში ხელს შეუწყობდა, ეს კი „დინამოს“ ხელმძღვანელობის მთავარი საფიქრალი გახლდათ.

— „ტორპედოს“ მერე „ბოავიშტასთან“ გავვარდით. შინ 1:0 მოვუგეთ, მაგრამ პორტუგალიელებს უკეთესი გუნდი ჰყავდათ და მიკვირდა, ხალხი რატომ ეკიდებოდა მათ დაცინვით — ჯიმი, ჯიმი, ჰაჯა, ჰაჯაო, ასეთები ისმოდა. იმ ჯიმი ჰასელბაინკმა „ბოავიშტას“ მერე რა ფეხბურთიც ითამაშა, ყველამ დაინახა, ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდიც კი გახდა. პორტუგალიაში 0:5 წავაგეთ და მატჩამდეც ვხვდებოდი, რომ სწრაფი ლატაპის დაჭერას ვერც ერთი ჩვენი მცველი ვერ შეძლებდა. არადა, ლატაპიმ თბილისში მხოლოდ ბოლო 20 წუთი ითამაშა. ასეც მოხდა, ამ ფეხბურთელმა 15 წუთში გაახერხა გოლი. „ბოავიშტას“ სტადიონზე თამაში გვიან ღამით დაიწყო, უკვე თვალები მეხუჭებოდა. სხვათა შორის, ამ ფაქტორმაც იმოქმედა მწარე მარცხზე.

— არადა, „ბოავიშტაც“ „დინამოს“ პოლიტიკის გუნდია, საუკეთესო ფეხბურთელებს ჰყიდის, მაგრამ სატრანსფერო სისტემა მიშვებული კი არ აქვს... „ბოავიშტაში“ მშვენივრად მუშაობდა სელექცია, მოუმწიფებლად ფეხბურთელებს არ ასხვისებდნენ, „დინამოში“ კი სხვანაირად იყო — ოღონდ მსურველი გამოჩენილიყო და...

— 1998 წელს „ბილბაო“ ბეწვზე გადაგვირჩა. იმ დროს უკვე მურთაზ ხურცილავას თანაშემწე ვიყავი, მურთაზმა ბასკებთან მატჩის წინ ფეხბურთელები მაგრად დარაზმა, ყველანაირი შიში მოუსპო და... დღემდე გული მწყდება გიორგი კიკნაძის მიერ ბილბაოში ბოლო წუთებზე გაშვებულ მომენტზე — კიკნაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა და ააცილა, არადა, ის გოლი ჩემპიონთა ლიგაში გაგვიყვანდა. „ბილბაო“ იმ დროს ძალიან ძლიერი იყო — ეჩებერია, ალკისა, ურსაისი, გერერო... მწვრთნელად კი ლუის ფერნანდესი ჰყავდათ.

— თითქოს ისე ჩანდა, რომ მსაჯებს „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში გასვლა არ უნდოდათ. სხვათა შორის, ბილბაოელი გულშემატკივრები ძალიან კორექტულად იქცეოდნენ, თამაშის მერე კი ჩვენს ავტობუსთან მოვიდნენ და კარგა ხანს ტაშს გვიკრავდნენ.

— ბასკს რომ უთხრა, ესპანელი ხარო, ჩათვალე, ათვალწუნებული ეყოლები. მოსკოვში ვსწავლობდით მე და შოთა ჭეიშვილი, იქ საფეხბურთო თეორიებს ერთი ბასკი გვასწავლიდა, მე და შოთამ რომ ვუთხარით, ქართველები და ბასკები ნათესავები არიანო, შეურაცხყოფად მიიღო. მას შემდეგ ის ბასკი რუსებს თავს ევლებოდა, ქართველებთან კი ცივად იყო. ბილბაოში ჩასვლისასაც ასე მოხდა — რა ნათესავები, რის ნათესავებიო, სწყინდათ. ბასკებმა არც იცოდნენ, რომ იბერიელები ვიყავით. ასეა, საოცრად ამაყი ხალხია. წარმოიდგინეთ, ბილბაოში რომ ჩავედით, ყველაფერი მოგვეწონა, ხალხი ჩინებულად ცხოვრობდა და მიკვირდა, ამათ რაღა აკლიათ, რაზე ედავებიან ესპანეთის მთავრობას-მეთქი...

— „დინამოში“ ოთხი მწვრთნელის ასისტენტი ვიყავი — ძოძუაშვილის, ხურცილავასი, ყიფიანის და ბოსკამპის. სხვათა შორის, ცხონებულ დათოზე რომ ამბობდნენ, ვარჯიშით ხოცავდა ფეხბურთელებსო, სიცრუეა. ყიფიანს ისეთი სასიამოვნო ვარჯიშები ჰქონდა, მიკვირდა, საიდან იცოდა. ის დიდი მწვრთნელი იყო, ისევე, როგორც დიდი ფეხბურთელი. მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილიც ძლიერები იყვნენ, ამ სამ პიროვნებას ფეხბურთის განსხვავებული ხედვა ჰქონდა, მაგრამ სამივემ თავისი საქმე მშვენივრად იცოდა.

— იოჰან ბოსკამპთან მხოლოდ ორი თვე ვიმუშავე, მერე კი გამათავისუფლეს ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო. მას შემდეგ „დინამოში“ აღარ ვყოფილვარ, მაგრამ ვიმეორებ — 90-იან წლებში გუნდს ურთულესი პერიოდი ედგა, ყველა ფეხბურთელი წასასვლელად ემზადებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დონ სილვიომ ხელი ჩაიქნია



სილვიო ბერლუსკონი

**მადონინაში** მარცხით განაწყენებულმა „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ მისმა კლუბმა მე-18 სკუდეტოს მოგების შანსი წლეულს უკვე დაკარგა და ახლა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე უნდა იფიქროს.

„ჩემპიონთა ლიგა ჩვენი ერთადერთი იმედია. „იუვენტუსი“ უკვე 11 ქულით გვისწრებს, ხოლო თერთმეტსა და რვა ქულას შორის დიდი სხვაობაა. ხუმრობით რომ ვთქვათ, „ინტერთან“ მატჩში თვითონ მინდოდა მინდორზე გავსულიყავი და ისე მეთამაშა, როგორც საჭირო იყო. თუმც ზოგ მატჩს იგებ, ზოგს აგებ. ფეხბურთიც, სწორედ, ეს არის. სჯობს, როდესაც იგებ, მაგრამ არც წაგებისგან უნდა შექმნა ტრაგედია“ — თქვა იტალიის პრემიერ-მინისტრმა.

„შავ-წითლების“ მფლობელისგან განსხვავებით, ბევრად ოპტიმისტურია კლუბის ლიდერ ანდრეი შევჩენკოს განწყობა. უკრაინელს სჯერა, რომ მის კლუბს ჯერ კიდევ აქვს სკუდეტოს მოგების შანსი.

„ჯერ არაფერი დამთავრებულა და მეც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ახლა, მთავარია, ახალ წლამდე დარჩენილი ორივე მატჩი მოვიგოთ. მერე კი „იუვენტუსსაც“ გაუჭირდება ასე სტაბილურად თამაში, რაც ჩვენ შანსს მოგვცემს“ — აღნიშნა შევჩენკომ.

**კოკი კანდელაკი**

# კომუნისტები ფაშისტების წინააღმდეგ



პაოლო დი კანიო ფაშისტია

„**ლივორნოს**“ მეკარემ მარკო ამელიამ „ლაციოს“ ცნობილი ვეტერანი პაოლო დი კანიო გააკრიტიკა და მათი გუნდების კვირის დაპირისპირებაში დი კანიოს საქციელს სულელური უწოდა.

პატარა წიაღსვლა გავაკეთოთ: „ლაციოს“ უკიდურესად მემარჯვენე ორიენტაციის, მოფაშისტო ქომაგები ჰყავს, „ლივორნო“ კი მოხუცლიგნო კომუნისტების საყვარელი გუნდია. ჰოდა, ამ კომუნისტებმა „ლაციოს“ ავტობუსს „სტადიო პიკის“ მისადგომებთან მაშხალები დააყარეს. ეს ინციდენტი უძღოდა სწორედ წინ, სტადიონის შესასვლელთან „ლაციოს“ გულშემატკივართა და ქალაქ ლივორნოს პოლიციის მატჩისწინა შეტაკებას, რაც ასე დასრულდა: „ლაციოს“ ფანებმა ერთი პოლიციელი დააზიანეს, თუმცა პოლიციელებმა „სტადიო პიკი“ და ქალაქი, დებოშისა და მასობრივი რბევისგან იხსნეს.

და აი, ასეთ დამუხტულ გარემოში, გაუწონასწორებელი ქცევით ცნობილმა დი კანიომ შეცვლის შემდეგ, ანუ მოედნიდან გასვლისას, ტრიბუნაზე შეგროვილ ლივორნოელ კომუნისტებს ფაშისტური სალამი უძღვნა, რაზეც მათ ანტიფაშისტური სიმღერა, „პიაცა ლორეტო“ დააგუგუნეს.

განმარტება: პიაცა ლორეტო გახლავთ მოედანი მილანში, სადაც ფაშისტური იტალიის დიქტატორის, ბენიტო მუსოლინის გვამი ჩამოჰკიდეს. ეს ამბავი 1945 წელს მოხდა, როდესაც მუსოლინი პარტიზანებმა დაიჭირეს და დახვრიტეს.

„ეს სულელური ჟესტი იყო — განაცხადა ამელიამ — თან დი კანიო ამ ჟესტს პირველად არ აკეთებს. სტადიონებზე და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე ქცევის წესები არსებობს და მგონი, ფეხბურთის ფედერაცია ვალდებულიცაა, ამაზე რეაქცია გააკეთოს.

**პაპუნა კედია**



წასვლის დროა — რალფ რანგნიკმა ვითარება შეაფასა და წავიდა

# რანგნიკის ხუმრობა დასრულდა

**რალფ რანგნიკი** გაათავისუფლეს — არადა, კონტრაქტის ვადა 2006 წლის ივნისში ეწურებოდა. გასულ შაბათს „შალკეს“ მწვრთნელმა დაიჩივლა, შიდასაკლუბო ინტრიგებმა დამქანცა და კონტრაქტს აღარ გავაგრძელებო. ეს მოულოდნელი იყო კლუბის პატრონ რუდი ასაუერისთვის, თუმც მათ არათუ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. რაკი მწვრთნელმა ასეთი კატეგორიული განცხადება იკადრა, პატრონმაც არ დაახანა და ივნისამდე მოცდა არ ინება და გუშინ სამსახურიდან დაითხოვა.

რუდი ასაუერს გასულ შემოდგომაზე საჯაროდ რამდენჯერმე დასცდა აუგი რალფ რანგნიკზე, რითაც მწვრთნელი გაანაწყენა. სწორედ ამის გამო იუარა ნაწყენმა კონტრაქტის გახანგრძლივება, კლუბის შინაური ამბები ქვეყანას რატომ მოსდესო.

რალფ რანგნიკის სამწვრთნელო კარიერა 1983 წელს დაიწყო, მოგვიანებით (1990-1994) „შტუტგარტში“ თანაშემწედ მუშაობდა, შემდეგ ერთი წელი (1995-1996) „როიტლინგენში“ გაატარა, რასაც „ულმი“ (1997-1999) მოჰყვა. მერე (1999-2001) „შტუტგარტს“ მთავარ მწვრთნელად დაუბრუნდა„ საიდანაც „ჰანოვერში“ გადავიდა და იქ სამი სეზონი დარჩა.

2004 წლის სექტემბერში „შალკეს“ თავკაცი გახდა. გუნდი ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე და გერმანიის თასის ფინალში გაიყვანა. ამ სეზონში საქმე ცუდად წაუვიდა, რადგან „შალკე“ ლიდერ „ბაიერნს“ უკვე ათი ქულით ჩამორჩება, გერმანიის თასზე კი „კაიზერსლაუტერთან“ 0:6 დამარცხდა. გარდა ამისა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ვერ გააღწია და რუდი ასაუერს მიზეზის ძებნაც აღარ დასჭირვებია.

გუშინვე გავრცელებული ინფორმაციით, ჩვენებური ლევან კობიაშვილის გუნდი შესაძლოა, ოტმარ ჰიცფელდმა ან მათიას ზამერმა გაწვრთნან, თუმც რუდი ასაუერის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია.

**გაგა ხუციშვილი**

# იუვენტუსი მაფიაა



კარლ-ჰაინც რუმენიგე

**მიუნხენის** „ბაიერნის“ მმართველმა, კარლ-ჰაინც რუმენიგემ, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი და სენსაციური განცხადება გააკეთა. მან ტურინელთა სატრანსფერო პოლიტიკა გააკრიტიკა. რუმენიგეს განსაკუთრებით ლუჩანო მოჯი არ ესიმპათიურება, რომელიც თავის საქმეში, უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ მისი მაქინაციების შესახებაც ყველას კარგად მოეხსენება.

„არანაირი სურვილი არ მაქვს, მათ გენერალურ მენეჯერ ლუჩანო მოჯისთან რამენაირი ურთიერთობა მქონდეს. „იუვენტუსში“ ჯენტლმენები არ არიან, იქ ნამდვილი მაფიაა“ — განაცხადა რუმენიგემ.

ძნელი მისახვედრი არ არის, რამ გამოიწვია რუმენიგეს ეს სიტყვები: მოგეხსენებათ, „იუვენტუსმა“ „ბაიერნისგან“ უკვე გადაიბირა რობერტ კოვაჩი და ახლა იმავეს ჰილ სანიოლს უპირებს. ამით კი მიუნხენელები ხელცარიელნი რჩებიან, რადგანაც ტურინელები ცდილობენ, მოთამაშეები თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიმატონ. კოვაჩმა სწორედ ამიტომ თქვა უარი „ბაიერნთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე და ახლა მის გზას, ალბათ, სანიოლიც დაადგება, რომელმაც, წესით, იანვარში ოფიციალურად უნდა განაცხადოს, რომ „დელე ალპიზე“ გადადის.

რუმენიგემ ისიც თქვა, ტურინელები ფიფას წესების დარღვევით აწარმოებენ ფეხბურთელებთან მოლაპარაკებასო. „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა კი ამბობს, უბრალოდ, მოთამაშეებს მათთვის მისაღებ წინადადებას ვთავაზობთ და სხვაც რომ ამას ვერ ახერხებს, ეს ჩვენი პრობლემა არ არისო.

**კოკი კანდელაკი**

# ლოკომოტივი სერბულ ლიანდაგზე



სლავოლიუბ მუსლინი მოსკოვის „ლოკომოტივს“ გაწვრთნის

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ მწვრთნელად სლავოლიუბ მუსლინი დანიშნეს, რომელიც ახლა ბელგიურ „ლოკერენში“ მუშაობს. ტომით სერბმა საფრანგეთის მოქალაქემ რუსულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა შემდგომში ერთის დამატების პირობით. 52 წლის მუსლინი მოსკოვში 21 დეკემბერს ჩავა, როცა ბელგიის იუპილერლიგის პირველი წრე დასრულდება.

მოგეხსენებათ, „ლოკომოტივს“ 1986 წლიდან იური სიომინი თავკაცობდა. 1991-ში იგი ახალ ზელანდიაში წავიდა, გუნდი კი დროებით ვალერი ფილატოვს ჩააბარეს, რომელიც შემდეგ კლუბის პრეზიდენტი გახდა. მერე „ლოკ.ს“ სიომინი დაუბრუნდა და ათ წელიწადზე მეტხანს წვრთნიდა. ამ გაზაფხულზე მან რუსეთის ნაკრებში გეორგი იარცევი შეცვალა, ხოლო რკინიგზელები ვლადიმირ ეშტრეკოვს დაუტოვა. ეშტრეკოვის ხელში გუნდმა უკლო, თითქმის განაღდებული ჩემპიონობაც დაკარგა და მეორე ადგილზეც ვერ გავიდა, რაც ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსს აძლევდა.

„რამდენიმე კანდიდატი გვყავდა, მათ შორის იყო მუსლინი — განაცხადა ფილატოვმა — ვესაუბრეთ ფეხბურთელებს და მწვრთნელებს, რომლებსაც მასთან უმუშავიათ და გადავწყვიტეთ, რომ მწვრთნელად მოგვეწვია. თითქმის ყველა გუნდში კარგი შედეგი ჰქონდა. თავის დროზე „ბორდოში“, ბიქსენტ ლიზარაზუ და ზინედინ ზიდანი ჰყავდა და მათ აღზრდაში წვლილი მიუძღვის. ეს კი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან „ლოკომოტივში“ ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდაა. სლავოლიუბ მუსლინი შემტევი ფეხბურთის მიმდევარია და მისი გუნდები ყოველთვის სამი ფორვარდით თამაშობდნენ“.

52 წლის მუსლინს უდიდესი გამოცდილება დაუგროვდა. რუსეთი მისთვის მეშვიდე ქვეყანა იქნება. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა „ბრესტში“, „ლანსში“, „ბორდოში“, „ლე მანში“ მაროკოს „რაჯა კასაბლანკაში“, „ცრვენა ზვეზდაში“, სოფიის „ლევსკიში“ და დონეცკის „მეტალურგში“.

**გაგა ხუციშვილი**

# MONEY, MONEY, MONEY...
## ვის რამდენი? ფულები დათვლილია

**ფიფამ** მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გუნდები დააჯგუფა, ახლა კი ფულიც გადათვალა. ჩინოვნიკებმა 32 მონაწილეზე მილიონ 950 ათასი დოლარი გამოყვეს და ამ თანხას ნაკრებები მხოლოდ გერმანიაში მოხვედრისთვის გაიყოფენ. მერე კი...

მერვედფინალში გასულები ბიუჯეტს ექვსნახევარი მილიონით გაამდიდრებენ. მეოთხედფინალში ვინც გააღწევს, კიდევ 9-9 მილიონს მიითვლის, ნახევარფინალისტები დაახლოებით 16 მილიონს ჩაიჯიბავენ. ფინალში დამარცხებულს ჩვიდმეტს მიართმევენ, ხოლო ჩემპიონი 19 მილიონამდე დოლარით გამდიდრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პელე დიეგოს და არგენტინას გაეხუმრა

**ფეხბურთის მეფემ** პელემ თქვა, ლაიპციგში, მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრაზე დიეგო მარადონა რომ მოსულიყო, ეგებ არგენტინა შედარებით „იოლ“ ჯგუფშიც გაემწესებინაო. შეგახსენებთ, რომ პატაგონიელთა ეროვნული გუნდი C, ეგრეთწოდებულ „სიკვდილის ჯგუფში“ (არგენტინა, კოტ დივუარი, სერბეთი, ჰოლანდია) მოხვდა.

„ვიცი, ლაიპციგში, ღონისძიების თავკაცებმა მარადონაც მოიწვიეს, მაგრამ დიეგო არ მოვიდა და კალათიდან „ბედის ბურთულას“ ამოღების უფლება სხვებს ერგოთ. იქნებ, დიეგოს თავისი ნაკრებისთვის შედარებით სუსტი მეტოქეებიც ჰყავდა გამზადებული“? — იხუმრა პელემ. მან მერე ისიც დაამატა, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელ კარლოს ალბერტო პარეირას თხოვნა შევასრულეო.

„მეტი რაღა უნდა მექნა, ნაკრების უფროსობა შემეხვეწა, ეგებ ჩეხეთი და ჰოლანდია არ შეგვახვედროო. მეც ასე მოვიქეცი. ახლა კი ჩვენ ფეხბურთელებზეა დამოკიდებული, ჩემპიონატს როგორ ჩაატარებენ“.

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ ფეხბურთის მეფემ თანამემამულე პენტაკამპეონებს სიფრთხილისკენ მოუწოდა: „რაც ვიცი, ისაა, რომ მუნდიალზე წინდაწინ გამოკვეთილ ფავორიტს სულ პრობლემები ექმნება. პირდაპირ გეტყვით, ბრაზილიის უპირობო ფავორიტობა ძალიან მაშინებს, ამიტომაც პარეირას და მის ბიჭებს ვთხოვ, საქმეს სრული პასუხისმგებლობით მოეკიდონ“.

**ლადო ხომერიკი**



AFP

როჟე მილა, პელე და იოჰან კრუიფი: წესით, აქ დიეგო მარადონაც უნდა ყოფილიყო...



AFP

# მარადონას ბოკას მწვრთნელობა შესთავაზეს

**არგენტინული** მედიის ცნობით, ივნისიდან შესაძლოა, იქაურ გრანდ „ბოკა ხუნიორსს“ სათავეში თვით ლეგენდარული დიეგო მარადონა ჩაუდგება.

„დარწმუნებული ვარ, დიეგო შესანიშნავი დამრიგებელი იქნება. თუ კლუბის ახლანდელმა მწვრთნელმა ალფიო ბაზილემ „ბოკასთან“ კონტრაქტის განახლება არ ისურვა, ჩვენ გუნდის ახალ თავკაცად სწორედ მარადონას დავნიშნავთ“ — განაცხადა მაურისიო მაკრიმ, „ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტმა.

მოგეხსენებათ, დიდმა დიეგომ ფეხბურთელობისას სახელი პირველად „ბოკაში“ ბურთაობით გაითქვა. ის ახლა კლუბის ვიცე-პრეზიდენტია.

„დიეგო მარადონას სამსახურს არგენტინის ნაკრებშიც სთავაზობენ. ვნახოთ, ეს ორი თანამდებობა ერთმანეთს ხელს თუ არ შეუშლის, გვინდა, „ელ რეი“ „ბოკას“ დამრიგებელიც იყოს“ — დასძენს სენიორ მაკრი.

ალფიო ბაზილეს კი „ბოკა ხუნიორსთან“ კონტრაქტი 2006 წლის 30 ივნისს უმთავრდება.

**ლადო ხომერიკი**




მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის
ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ხელმძღვანელი
პროფ. თამაზ თამაზაშვილი

• უახლესი ავტომატური ამერიკული ტექნოლოგიები
• უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
• თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
• გარანტირებული შედეგები
• შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრავმისა და დამწვრობის შემდეგ
• კონფიდენციალურობა
• საახალწლო ფასდაკლება

HAIRLINE International

ჰეალაინ ინტერნეიშნლ
თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

ქავთარაძის 16 (სამკურნალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62



www.hairline.ge


# დევიდ ბექემი: ინგლისი ჩემპიონი გახდება



**ინგლისის** ნაკრების კაპიტან დევიდ ბექემის აზრით, ბრიტანელთა ეროვნულ გუნდს 2006 წლის მუნდიალის მოგების საკმაოდ დიდი შანსი აქვს.

„თუ მოედანზე თავს არ დავზოგავთ და ჩვენ ძალას ვაჩვენებთ, ინგლისელ ფანებს მსოფლიო თასით გავახარებთ“ — უთხრა მადრიდის „რეალის“ გალაქტიკოსმა „სანს“.

ალბიონელმა ვარსკვლავმა მედიასთან, ლაიპციგში ჩატარებულ მუნდიალის კენჭისყრაზე და B ჯგუფში ინგლისის ნაკრების მეტოქეებზე ილაპარაკა.

„კენჭისყრისას ძალიან ვინერვიულე, თუმც ვფიქრობ, რომ ინგლისს ჯგუფურ ეტაპზე რაიმე უსაშველო სირთულეების გადალახვა არ მოუწევს. შვედეთის ნაკრების თამაშის სტილს ზედმიწევნით კარგად ვიცნობთ. რაც შეეხება ტრინიდადს, მათთან შეხვედრა დუაიტ იორკის გამო მიხარია. ჩემ ძველ მანჩესტერელ მეგობარს ვნახავ. პარაგვაიზე კი ვერაფერს გეტყვით, უცნობი გუნდია, მაგრამ მათთან შერკინების წინაც საგულდაგულოდ მოვემზადებით“ — თქვა ბექჰემმა.

გამოდის, თქვენ ინგლისს ჩემპიონატის ფავორიტადაც მიიჩნევთო — ჰკითხეს ჟურნალისტებმა „რეალის“ ფეხბურთელს.

„ფეხბურთში ადვილი მეტოქეები არ არსებობენ. ფავორიტობის დამტკიცება მოედანზე მოგვიწევს“ — უპასუხა ბექემმა.

**ლადო ხომერიკი**

# ჯანყი პარიზში
## ფურნიეს სკამი გატოკდა



ლორან ფურნიე

**ფრანგული** პსჟ-ს მწვრთნელ ლორენ ფურნიეს მოხსნას უპირებენ. შესაძლოა, იგი პირველი წრის დასრულებისთანავეც დაითხოვონ. კლუბის პრეზიდენტ პიერ ბლაიოს, თურმე აცაბაცა შედეგების ყურება მოსწყინდა და ფურნიე ამიტომაც აითვალწუნა: „საკითხი მალე უნდა გადავწყვიტოთ — განაცხადა პრეზიდენტმა „რენთან“ 2:0 მოგების შემდეგ — გუნდის არასტაბილური თამაშით უკმაყოფილო ვარ. მეეჭვება, რომ ასეთი ფეხბურთით მეორე ადგილზე გასვლა შევძლოთ. „რენთან“ გამარჯვება აუცილებელი იყო და სამი ქულა ავიღეთ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის“.

პიერ ბლაიო მას შემდეგ „აიჯაგრა“, რაც პსჟ-მ 18 სექტემბერს „სენტ ეტიენთან“ 0:3 წააგო. მერე გუნდი უშუალო კონკურენტებთანაც („მარსელი“, „ოსერი“, „ლიონი“) დამარცხდა და პრეზიდენტს გუნება წაუხდა.

ლორენ ფურნიე ხშირად ცვლის შემადგენლობას და ტაქტიკას, მაგრამ საუკეთესო ვარიანტს ვერ მიაგნო. გარდა ამისა, მწვრთნელს ავტორიტეტიც არ აქვს. ზოგმა ფეხბურთელმა მისეულ ვარჯიშებზე უარი თქვა და აჯანყდა. ფაქტობრივად, პსჟ-ს თავკაცი ვითარებას ვერ აკონტროლებს.

პიერ ბლაიომ ფურნიეს გუნდი მაისში დროებით ჩააბარა, მერე კი „ლიონიდან“ წასული პოლ ლე გუენის მიყვანა სურდა, მაგრამ მან არ ინება.

ფრანგული მედიის ცნობით, ფურნიეს სავარაუდო შემცვლელთა შორის არიან: გი ლაკომბი, დიდიე დეშანი, რეინალდ დენიო და პოლ ლე გუენი, რომელსაც „რეინჯერსი“ ეპატიჟებოდა, თუმც იქ ალექს მაკლიში დატოვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## იტალია

### სერია A. XV ტური

**ინტერი 3:2 მილანი**

1:0 ადრიანო (24პ), 1:1 შევჩენკო (39პ), 2:1 მარტინსი (59), 2:2 სტამი (83), 3:2 ადრიანო (90)

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, ფავალი, ფიგუ (ბურდისო 81), კამბიასო, ვერონი, სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინსი (ხ. კრუზი 85)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

**მილანი:** დიდა, სტამი, ნესტა (შიმიჩი 53), კალაძე, სერჟინიო, გატუზო (იანკულოვსკი 71), პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო (ვიერი 75)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: კორდობა, ნესტა, კალაძე, შიმიჩი, ადრიანო

მსაჯი: მესინა

80 000 მაყურებელი

# კახა შუაში და ნოკდაუნში

## რა უნდოდა ინტერს და მილანს შორის მესინას?




AFP მილანიდან

კახა კალაძეს დაცვის ცენტრში ადრიანოს შეჩერება უწევდა

**მილანური** დერბის ბედი, მსაჯის წამატებულ წუთებში, ინტერელი ადრიანოს ზუსტმა თავურმა გადაწყვიტა. მანამდე, „შავ-ლურჯები" კიდევ ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ „შავ-წითლებმა" ორივეჯერ გაათანაბრეს ანგარიში. ერთი სიტყვით, ბოლოს საქმე ისე ჩანდა, რომ თამაში 2:2 უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ადრიანომ იყოჩაღა და „ინტერი" მეორე ადგილზე გადავიდა. მას და „ფიორენტინას" ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ.

გამარჯვებულთა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ ამ შეხვედრაში ხშირად მოსინჯულ 4-2-3-1 სისტემას ტრადიციული 4-4-2 ამჯობინა. დაცვაში ივან კორდობასთან ერთად მანჩინიმ ვალტერ სამუელი ათამაშა, ხოლო ნახევარდაცვის გასაღები ხუან სებასტიან ვერონს ჩააბარა.

თავის მხრივ, „მილანმა", მიუხედავად იმისა, რომ დაცვაში კაფუ და პაოლო მალდინი აკლდა, მისთვის ჩვეული, შემტევი ფეხბურთი ითამაშა. იაპ სტამი მარჯვენა მცველად მოგვევლინა, ხოლო კახა კალაძე კარლო ანჩელოტიმ შუაში შესწია. აღსანიშნავია, რომ კალაძე, ობაფემი მარტინსთან პირველივე ორთაბრძოლისას, მე-4 წუთზე, ნოკდაუნში ჩავარდა.

საერთოდ, „ინტერი", რომლის ქომაგებმაც „მილანის" გასალიზიანებლად თამაშის დაწყების წინ უკუღმა თვლა დაიწყეს, რითაც მეტოქეს ჩემპიონთა ლიგის ფინაში „ლივერპულთან" დამარცხება შეახსენეს, იმთავითვე უფრო მხნედ იყო. თამაშის პირველ მონაკვეთში მომენტები ჰქონდათ დეიან სტანკოვიჩს, მარტინსსა და ადრიანოს, შემდეგ კი მარტინსი საჯარიმოში სტამს და ნესტას შორის გაძვრა და წაიქცა. მსაჯის, დომენიკო მესინას შეხედულებით, მასთან მჭიდროდ მყოფმა ერთერთმა მცველმა ბურთს ხელი გაჰკრა. ადრიანომაც პენალტი შეაგდო.

ამის შემდეგ, ჩამორჩენილი „მილანი" მდგომარეობის გამოსასწორებლად ბევრს ვერაფერს ახერხებდა, მაგრამ საქმეში კვლავ მსაჯის შეხედულება ჩაერია და ანგარიში შეცვალა — ანდრეა პირლოს დარტყმული ჯარიმა ისევ ხელს, ამჯერად დეიან სტანკოვიჩისას მოხვდა. პენალტი ანდრეი შევჩენკომ შეაგდო.

მსაჯის ორხელიანობამ ისედაც დაძაბული გარემო, კიდევ უფრო დაძაბა — სამუელმა ჯილარდინოს ტუჩი დაუზიანა, კორდობამ და ნესტამ კი ისეთები აკეთეს, ისევ იმ მსაჯს უმადლოდნენ, მოედნიდან რომ არ დაიფრინა, ერთიცა და მეორეც.

შესვენების შემდეგ გუნდები მოედანზე იმავე შემადგენლობებით გამოვიდნენ, მაგრამ 53-ე წუთზე „მილანს" მაინც მოუხდა ჯანზე ვერ მყოფი ნესტას დარიო შიმიჩით შეცვლა. ამის შემდეგ, [illegible] ეპიზოდში ჯილარდინომ ითამაშა სახიფათოდ, 57-ზე კი სერჟინიოს შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ გოლი ერთი ხნის შემდეგ „შავ-წითლების" კარში გავიდა: ადრიანოს შორიდან დარტყმული დიდამ კი მოიგერია, მაგრამ მოგერიებულს მარტინსი მიუხდა და — 2:1.

ამის შემდეგ „მილანის" შეტევათა ჯერი დადგა და თავიდან კაკამ რიკოშეტით ძელს გაარტყა ბურთი, მერე კი „მილანის" ახმახმა ჰოლანდიელმა მცველმა იაპ სტამმა თავურით გაქვითა. ხოლო, რა იყო ბოლოს, უკვე იცით.

კარლო ანჩელოტი: „ერთი უიღბლო მომენტის გამო დავმარცხდით. გაგვიჭირდა, მაგრამ მეორე ტაიმში თამაში გავაუმჯობესეთ და ორჯერ ჩამორჩენილებმა გავათანაბრეთ ანგარიში. გარდა ამისა, პირველ ტაიმში ჩვენ კარში არარსებული პენალტი დაინიშნა. დომენიკო მესინა დღეს კარგ ფორმაში არ იყო".

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 15 | 14 | 0 | 1 | 35:8 | 42 |
| ინტერი | 15 | 10 | 2 | 3 | 28:13 | 32 |
| ფიორენტინა | 15 | 10 | 2 | 3 | 30:16 | 32 |
| მილანი | 15 | 10 | 1 | 4 | 32:18 | 31 |
| ლივორნო | 15 | 7 | 4 | 4 | 15:16 | 25 |
| სამპდორია | 15 | 7 | 3 | 5 | 26:20 | 24 |
| კიევო | 15 | 6 | 6 | 3 | 18:15 | 24 |
| პალერმო | 15 | 5 | 7 | 3 | 24:22 | 22 |
| ლაციო | 15 | 6 | 4 | 5 | 20:21 | 22 |
| რომა | 15 | 5 | 5 | 5 | 22:19 | 20 |
| უდინეზე | 15 | 6 | 2 | 7 | 16:21 | 20 |
| სიენა | 15 | 5 | 3 | 7 | 21:26 | 18 |
| რეჯინა | 15 | 5 | 2 | 8 | 16:21 | 17 |
| ემპოლი | 15 | 5 | 2 | 8 | 17:23 | 17 |
| ასკოლი | 15 | 2 | 8 | 5 | 14:18 | 14 |
| პარმა | 15 | 3 | 4 | 8 | 15:24 | 13 |
| მესინა | 15 | 2 | 6 | 7 | 13:20 | 12 |
| ლეჩე | 15 | 3 | 2 | 10 | 13:26 | 11 |
| კალიარი | 15 | 1 | 6 | 8 | 12:26 | 9 |
| ტრევიზო | 15 | 1 | 5 | 9 | 8:22 | 8 |

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XV ტური

**ბარსელონა 2:1 სევილია**

0:1 კანუტი (63), 1:1 ეტოო (65), 2:1 რონალდინიო (76)

**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ედმილსონი, გაბრი (ვან ბრონკჰორსტი 69), ინიესტა, მესი (ლარსონი 62), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

**სევილია:** პალოპი, მარტი, აიტორ ოსი, დრაგუტინოვიჩი, დავიდი, მარესკა, ხორდი, ნავასი (კაპელი 83), სავიოლა (ლუის ფაბიანო 65), ადრიანუ (კეპა 86), კანუტი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: მესი, ეტოო, ნავასი, ადრიანუ, ინიესტა, ბელეტი

მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

61 840 მაყურებელი

# კამპ ნოუზე უბედურება აიცილეს




AFP ბარსელონიდან

სამუელ ეტოო „სევილიას" კარში ბურთს ლამის თვითონაც შეჰყვა

**„კამპ ნოუზე"** კვირას საღამოს კინაღამ უბედურება დატრიალდა — საფეხბურთო უბედურებას ვგულისხმობთ — მატჩის დასრულებამდე 27 წუთით ადრე „სევილიამ" გოლი გაიტანა და დაწინაურდა.

დარჩენილ დროში „ბარსას" მოსაგებად ორი გოლი სჭირდებოდა, არადა, როგორი გასატანი იყო — „სევილია" ხომ ის გუნდია, ამ სეზონში ოდენ რვა გოლი რომ ჰქონდა გაშვებული...

პირველ ტაიმში „ბარსა" უტევდა, „სევილია" კი თავს იცავდა და „კამპ ნოუზე" ჩასული სხვა გუნდებისგან განსხვავებით, ეს არცთუ ცუდად გამოსდიოდა. საწყის 45 წუთში კატალონიელებმა ექვსჯერ დაარტყეს სტუმართა კარისკენ და ამათგან ხუთჯერ ბურთი კარს ასცდა. მხოლოდ ერთი დარტყმული — რონალდინიომ საჯარიმო შეასრულა — წავიდა კარის ჩარჩოში და მაშინაც მეკარემ ივარგა.

საერთოდაც, სევილიელებმა ყველაფერი სწორად დაგეგმეს და რონალდინიო, სამუელ ეტოო და ლეო მესი საიმედოდ ჰყავდათ ჩაკეტილი.

პირველ ტაიმში ერთი ეპიზოდიც იყო, როცა „ბარსელონამ" გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა მართებულად გააუქმა — მესიმ, სანამ საგოლედ დაარტყამდა, ბურთი ხელით გაისწორა.

ცხადი იყო, რომ უგოლო პირველი ტაიმის მერე, თამაში უფრო საინტერესო გახდებოდა. შესვენებიდან რამდენიმე წუთში რონალდინიოს მორიგი საჯარიმო დარტყმა ოდნავ გადასცდა კარს, საპირისპირო მხარეს კი ძველმა ბარსელონელმა, ხავიერ სავიოლამ შეუტია მეტისმეტად სახიფათოდ.

მერე ანდრეს ინიესტამ მიიღო გაფრთხილება პენალტის სიმულაციისთვის, ხოლო მასპინძელთა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა ჩათვალა, რომ მესის ნაცვლად ჰენრიკ ლარსონის შეყვანა „ბარსას" იერიშებს უფრო სახიფათოს გახდიდა. თუმცა დავძინოთ, რომ „კამპ ნოუ" ამ შეცვლას უკმაყოფილო შეხვდა — ხალხმა ჩათვალა, რომ მესის გაყვანა სწორი არ იყო.

63-ე წუთზე კი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: სავიოლამ ფლანგიდან ჩააწოდა, ბურთი მეკარისა და მცველის ფეხებში აიბლანდა და ფრედერიკ კანუტს მიუვიდა — 0:1.

სევილიელთა სიხარულმა სულ რაღაც ორ წუთს გასტანა. სტუმართა დაცვა, იქამდე სანაქებოდ რომ ირჯებოდა, შეცდა — რონალდინიოს ჩაწოდებული კუთხურიდან მცველებმა ბურთი ეტოომდე მიუშვეს და კამერუნელმაც წონასწორობა აღადგინა. ცოტაც და, თავისი გოლი რონალდინიომაც გაიტანა, რითაც „ბარსელონამ" კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა და „ოსასუნას" ერთპიროვნული ლიდერობა არ დაანება.

რონალდინიოს გამარჯვების გოლთან ერთად კი ისიც ვთქვათ, რაც მატჩის დაწყებას უძღოდა წინ — რონალდინიოს „ფრანს ფუტბოლის" ოქროს ბურთი გადასცეს, მან კი მთავარი ევროპული ჯილდო დედას ტრიბუნაზე გაატანა, მერე თამაში დაიწყო და...

**ქოტე ძეძელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 15 | 10 | 4 | 1 | 38:13 | 34 |
| ოსასუნა | 15 | 11 | 1 | 3 | 22:14 | 34 |
| რეალი | 15 | 9 | 1 | 5 | 27:16 | 28 |
| ვილიარეალი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:15 | 26 |
| დეპორტივო | 15 | 7 | 5 | 3 | 20:14 | 26 |
| ვალენსია | 15 | 7 | 5 | 3 | 22:17 | 26 |
| სელტა | 15 | 8 | 2 | 5 | 18:16 | 26 |
| სევილია | 15 | 6 | 5 | 4 | 14:10 | 23 |
| ხეტაფე | 15 | 6 | 3 | 6 | 21:21 | 21 |
| ატლეტიკო | 15 | 4 | 6 | 5 | 15:15 | 18 |
| სოსიედადი | 15 | 5 | 3 | 7 | 22:31 | 18 |
| სარაგოსა | 15 | 3 | 8 | 4 | 15:18 | 17 |
| მალაგა | 15 | 4 | 3 | 8 | 21:22 | 15 |
| რასინგი | 15 | 3 | 6 | 6 | 11:18 | 15 |
| მალიორკა | 15 | 4 | 3 | 8 | 14:23 | 15 |
| კადისი | 15 | 3 | 5 | 7 | 10:16 | 14 |
| ესპანიოლი | 15 | 3 | 5 | 7 | 11:18 | 14 |
| ბილბაო | 15 | 2 | 6 | 7 | 14:20 | 12 |
| ალავესი | 15 | 2 | 6 | 7 | 14:23 | 12 |
| ბეტისი | 15 | 2 | 6 | 7 | 10:22 | 12 |

# მადრიდმა როი დააკმაყოფილა



როი კინი კარიერას მადრიდის „რეალში" გააგრძელებს

**34 წლის** როი კინი, შეიძლება ვთქვათ, რომ მადრიდის „რეალის" ფეხბურთელია. „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა ვარსკვლავმა გუშინ სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა, რაც იმას ნიშნავს, რომ კინი ორი სეზონის განმავლობაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" იბურთავებს.

„როი ბრწყინვალე ფეხბურთელია და მისი უზარმაზარი გამოცდილება „რეალს" დიდად წაადგება" —განუცხადა მედიას ფლორენტინო პერესმა, „სამეფო კლუბის" პრეზიდენტმა. გაირკვა ისიც, რომ როი კინი მადრიდულ გრანდთან კონტრაქტს ოფიციალურად, ხუთშაბათს გააფორმებს.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერის" დიდი ირლანდიელი, გუნდს ნოემბერში დაშორდა. ამბობდნენ, რომ მისი სამომავლო ნავსაყუდელი შოტლანდიური „სელტიკი" უნდა ყოფილიყო. კინსაც სურდა გლაზგოელ კათოლიკებთან ბურთაობა, მაგრამ „სელტიკის" მესვეურები ირლანდიელს საკმარისი ჯამაგირით ვერ უზრუნველყოფდნენ. „რეალში" კი როი თვეში 120 ათას ევროს მიიღებს, რაც მის ხელფასს „გალაქტიკოსებისას" (ბექემი, რონალდო, ზიდანი, რაული) მიუახლოვებს.

როი კინმა ადრე, „მანჩესტერში" მიღებული ტრავმა უკვე მოირჩინა და თუ ტრანსფერის საქმე არ გაჯანჯლდა, სამხრეთელი ინჩასები პრემიერლიგის ოდინდელ ვარსკვლავს პრიმერადივიზიონის მომდევნო ტურშივე იხილავენ. აი, ჩემპიონთა ლიგაში კი, კინი „რეალს" ვერ დაეხმარება — მიმდინარე გათამაშებაში უნგრულ „დებრეცენთან", „მანჩესტერის" მაისურით საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა და იმიტომ.

„რეალი" დიადი გუნდია, მოხარული ვარ, რომ აქ გადმოვედი" — მოკლედ განუცხადა ვეტერანმა ირლანდიელმა გაზეთ „მარკას".

**ლადო ხომერიკი**

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XVIII ტური

სენტ ეტიენი 0:0 ლიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 18 | 13 | 5 | 0 | 29:10 | 44 |
| ოსერი | 18 | 10 | 2 | 6 | 26:20 | 32 |
| ბორდო | 18 | 8 | 7 | 3 | 17:11 | 31 |
| პსჟ | 18 | 9 | 3 | 6 | 22:17 | 30 |
| ლანსი | 18 | 6 | 11 | 1 | 25:14 | 29 |
| მონაკო | 18 | 8 | 4 | 6 | 18:13 | 28 |
| მარსელი | 18 | 8 | 4 | 6 | 20:21 | 28 |
| ლილი | 18 | 7 | 6 | 5 | 23:14 | 27 |
| სენტ ეტიენი | 18 | 6 | 8 | 4 | 17:12 | 26 |
| რენი | 18 | 8 | 2 | 8 | 21:29 | 26 |
| ლე მანი | 18 | 7 | 4 | 7 | 17:14 | 25 |
| ნანტი | 18 | 6 | 4 | 8 | 18:20 | 22 |
| ნიცა | 18 | 5 | 7 | 6 | 13:16 | 22 |
| ტულუზი | 18 | 6 | 4 | 8 | 18:23 | 22 |
| ნანსი | 18 | 6 | 3 | 9 | 19:16 | 21 |
| სოშო | 18 | 5 | 6 | 7 | 11:16 | 21 |
| ტრუა | 18 | 4 | 6 | 8 | 15:22 | 18 |
| აიაჩო | 18 | 2 | 6 | 10 | 9:22 | 12 |
| სტრასბური | 18 | 1 | 8 | 9 | 10:21 | 11 |
| მეცი | 18 | 1 | 8 | 9 | 10:27 | 11 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. XIV ტური

ბენფიკა 1:0 ბოავიშტა

1:0 ანდერსონი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 14 | 9 | 4 | 1 | 23:9 | 31 |
| ნასიონალი | 14 | 9 | 3 | 2 | 17:6 | 30 |
| სეტუბალი | 13 | 8 | 2 | 3 | 11:3 | 26 |
| ბრაგა | 14 | 8 | 2 | 4 | 13:7 | 26 |
| ბენფიკა | 14 | 7 | 4 | 3 | 21:12 | 25 |
| სპორტინგი | 14 | 7 | 3 | 4 | 18:16 | 24 |
| ბოავიშტა | 14 | 5 | 7 | 2 | 20:13 | 22 |
| ფერეირა | 14 | 6 | 3 | 5 | 17:17 | 21 |
| აკადემიკა | 14 | 5 | 3 | 6 | 14:18 | 18 |
| რიუ ავე | 14 | 4 | 5 | 5 | 19:21 | 17 |
| ამადორა | 14 | 4 | 4 | 6 | 10:13 | 16 |
| მარიტიმუ | 14 | 3 | 6 | 5 | 15:17 | 15 |
| ლეირია | 14 | 4 | 3 | 7 | 16:19 | 15 |
| ბელენენსეში | 13 | 4 | 2 | 7 | 14:16 | 14 |
| ჟილ ვისენტე | 14 | 4 | 2 | 8 | 11:17 | 14 |
| გიმარაეში | 14 | 4 | 1 | 9 | 8:20 | 13 |
| ნავალი | 14 | 3 | 2 | 9 | 13:23 | 11 |
| პენაფიელი | 14 | 1 | 4 | 9 | 10:23 | 7 |

## ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XVI ტური

სლავია — ტეპლიცე 1:1; ზლინი — ბანიკი 1:0; ლიბერეცი — ბრნო 0:0; სიგმა — იაბლონეცი 0:2; პლზენი — ბლშანი 2:0; პრჟიბრამი — იჰლავა 2:0; ბოლესლავი — სლოვაცკო 1:0; მოსტი — სპარტა 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 16 | 10 | 5 | 1 | 26:11 | 35 |
| ტეპლიცე | 16 | 8 | 6 | 2 | 20:11 | 30 |
| სლავია | 16 | 7 | 6 | 3 | 29:19 | 27 |
| პრჟიბრამი | 16 | 6 | 6 | 4 | 23:17 | 24 |
| იაბლონეცი | 16 | 7 | 3 | 6 | 24:19 | 24 |
| ბოლესლავი | 15 | 7 | 3 | 5 | 24:23 | 24 |
| სიგმა | 16 | 7 | 2 | 7 | 22:25 | 23 |
| ზლინი | 16 | 6 | 4 | 6 | 16:16 | 22 |
| სპარტა | 16 | 6 | 2 | 8 | 26:27 | 20 |
| პლზენი | 16 | 5 | 5 | 6 | 17:18 | 20 |
| ბანიკი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:17 | 20 |
| იჰლავა | 15 | 4 | 5 | 6 | 12:20 | 17 |
| სლოვაცკო | 16 | 3 | 7 | 6 | 15:19 | 16 |
| ბრნო | 16 | 3 | 6 | 7 | 17:21 | 15 |
| ბლშანი | 16 | 3 | 6 | 7 | 14:27 | 15 |
| მოსტი | 16 | 4 | 1 | 11 | 14:24 | 13 |

## მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი

1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

მონტერეი 2:1 ტიგრესი (0:1)

ტოლუკა 2:1 პაჩუკა (0:0)

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XIX ტური

დინამო — ზაკარპატია 4:1; მეტალურგი (დ) — ვორსკლა 2:0; ჩერნომორეცი — ილიჩევეცი 1:2; ტავრია — მეტალისტი 0:1; ვოლინი — სტალი 0:1; დნიპრო — არსენალი 1:0; ხარკოვი — მეტალურგი (ზ) 1:0; კრივბასი — შახტარი 0:2

## შვეიცარია

თასის შესარჩევი ეტაპი

კუსნახტი — ლოკარნო 1:2; ლუგანო — ვილი 2:1; სიონი — ბელინცონა 1:0; ვინტერთური — ლუცერნი 2:0დ.დ.(0:0)

## როიალ ლიგა 2005

A ჯგუფი. III ტური

სტარტი 3:3 ვოლერენგა

ჰამარბი 2:2 მიდტიულანდი

B ჯგუფი. III ტური

კალმარი 1:0 კოპენჰაგენი

ბრონდბიუ 0:1 ლილესტრომი

C ჯგუფი. III ტური

გიოტებორგი 1:3 ლინი

იურგორდენი — ოლბორგი დღეს

## არგენტინა

აპერტურა. XIX ტური

ველესი — ინსტიტუტო 2:2; არსენალი — სან ლორენსო 1:2; ესტუდიანტესი — ლანუსი 2:2; ბოკა ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 2:0; ხიმნასია (ლ) — ოლდ ბოისი 0:0; კოლონი — არგ. ხუნიორსი 2:0; რივერ პლეიტი — კილმესი 1:1; ტირო ფედერალი — ხიმნასია (ხ) 0:0

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2005

მეოთხედფინალი

ალ იტიჰადი (საუდეთი) 1:0 ალ აჰლი (ეგვიპტე)

სიდნეი (ავსტრალია) 0:1 დეპორტივო საპრისა (კოსტა რიკა)

ნახევარფინალი. 14-15 დეკემბერი

ალ იტიჰადი (საუდეთი) — სან პაულუ (ბრაზილია)

დეპორტივო საპრისა (კოსტა რიკა) — ლივერპული (ინგლისი)




**ინგლისური** „ლივერპულის" ნახევარმცველის, ბუდევინ ზენდენის „ბეტისთან" მიღებული ტრავმა უფრო სერიოზული გამოდგა, ვიდრე თავიდან ჩანდა. 29 წლის ჰოლანდიელს მუხლის ჯვარედინი მყესები აქვს გაწყვეტილი და ოპერაცია სჭირდება. ასე რომ, ამ სეზონში ზენდენი თამაშს ალბათ ვერ შეძლებს.

**რუსულმა** „სპარტაკმა" თავის სერბ მცველ ნემანია ვიდიჩს ახალი კონტრაქტი შესთავაზა, ბევრად უკეთესი პირობებით, თუმც 24 წლის ფეხბურთელი პასუხის გაცემას არ ჩქარობს, რადგანაც მისით „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლივერპული" არიან დაინტერესებულნი. მოსკოველები ვიდიჩის სანაცვლოდ 12,5 მილიონ ევროს ითხოვენ.

**ირანული** ფეხბურთის ლეგენდამ ალი დაეიმ აღნიშნა, რომ 2006 წლის მუნდიალის შემდეგ სანაკრებო კარიერას დაასრულებს. „ეს ჩემი ბოლო დიდი ტურნირი იქნება, რადგანაც ნაკრების დატოვება გადავწყვიტე. მთლიანად ფეხბურთიდან როდის წავალ, ჯერ არ ვიცი" — თქვა 36 წლის ვეტერანმა.

**ჩეხი** ნახევარმცველი ტომაშ როსიცკი მადრიდის „ატლეტიკოში" ეგებ იანვარშივე ვიხილოთ. იგი კლუბს ოთხწლიან კონტრაქტზე უკვე შეუთანხმდა, მაგრამ ესპანელებმა ახლა როსიცკის ახლანდელი გუნდი „დორტმუნდი" უნდა მოთაფლონ. ამბობენ, „ატლეტიკო" 10 მილიონ ევროს იხდის, „დორტმუნდი" კი 15-ს ითხოვსო.

**იტალიურ** „რომას" თვალი ხულიო რიკარდო კრუზისთვის დაუდგამს. დედაქალაქელების აზრით, „სტადიო ოლიმპიკოზე" გადასვლას თავად ფეხბურთელიც ისურვებს, რადგან მან ვერაფრით დაიმკვიდრა ადგილი „ინტერის" ძირითადში. აპენინური პრესა კი ალაპარაკდა, „გლადიატორები" და „ნეროაძური" ერთმანეთში ანტონიო კასანოსა და კრუზს გაცვლიანო.

**პორტუგალიური** „პორტუს" ფორვად ელდერ პოშტიგას იანვარში ალბათ „სენტ ეტიენში" გაანათხოვრებენ. მხარეებს შესათანხმებლად რამდენიმე უმნიშვნელო დეტალი რჩებათ. ეს ტრანსფერი თავად ლუზიტანი ფეხბურთელის ინიციატივაც გახლდათ, რათა მას მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი შეინარჩუნოს.

**ესპანური** „ბეტისი" ბრაზილიურ „სან პაულუს" შეუთანხმდა და იანვარში, სეზონის ბოლომდე 20 წლის ფორვარდ დიეგო ტარდელის ინათხოვრებს. ახალგაზრდა თავდამსხმელი სევილიელთა რიგებში მისი ტრავმირებული თანამემამულის, რიკარდო ოლივეირას შემცვლელად მოიაზრება. „მინდა, ბეტისს" სირთულეების დაძლევაში დავეხმარო, რამდენ გოლს გავიტან ზუსტად, ვერ გეტყვით, მაგრამ იმედია, ბევრი იქნება" — აღნიშნა ტარდელიმ.

**ინგლისური** „ბირმინგემის" ნახევარმცველი ჯერმენ პენანტი მომავალ ზაფხულს იქნებ „ლივერპულში" აღმოჩნდეს. „არსენალის" ყოფილ ფეხბურთელს მერსისაიდელთა თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა დაადგა თვალი. კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

**ჰოლანდიური** „აიაქსის" ორმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა, ედვიგეს მადურომ და ზდენეკ გრიგერამ „არსენალთან" მატჩში მცირე ტრავმები მიიღეს. პირველს დაახლოებით ორი-სამი კვირა გაუცდება, ხოლო მეორე ერთ კვირას დაისვენებს.

**შოტლანდიურ** „რეინჯერსს" ფრანგული „ბორდოს" ფორვარდ ჟან-კლოდ დარშევილის შეძენა სდომებია. ეს „ჩაფრების" თავკაც ალექს მაკლიშის ინიციატივაა. ფეხბურთელის აგენტის თქმით, „აიბროქსზე" გადასვლით თავად დარშევილიც დაინტერესებულია. ასე რომ, შეიძლება ტრანსფერი იანვარშივე შედგეს.

**ინგლისურმა** საბუქმეკერო კანტორებმა, რომლებიც ყველაზე კომპეტენტურად ითვლებიან, უკვე გამოაქვეყნეს მომავალი მუნდიალის კოეფიციენტები. უმთავრესი ფავორიტი ბრაზილიაა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაზე დაახლოებით 2,8 აქვს. მეორეზე ინგლისია (6,5), მესამეზე კი მასპინძელი გერმანია (7,0). მეოთხე-მეხუთე ადგილებს იტალია და არგენტინა იყოფენ (8,0). მათ საფრანგეთი (10,0), ესპანეთი (12,0) და ჰოლანდია (14,0) მოსდევენ. გამოკვეთილი აუტსაიდერი კი ტრინიდადი და ტობაგოა (1000,0)

**ფრანგული** „მარსელის" მწვრთნელმა ჟან ფერნანდესმა იმედი გამოთქვა, რომ კლუბის უფროსობა არაფერს დაიშურებს, „ლივერპულთან" შესათანხმებლად და ჯიბრილ სისეს ხელში ჩასაგდებად. „ფორვარდი ძალიან გვჭირდება და გამიხარდება, თუ სწორედ სისეს დავიმატებთ. ჯიბრილი ბრწყინვალე მოთამაშეა" — თქვა ფერნანდესმა.

**ბრაზილიელი** ჯოვანი ელბერი ეგებ მეორე ბუნდესლიგაში აღმოჩნდეს, მას როსტოკის „ჰანზა" ეპატიჟება, რომელსაც უძლიერესთა შორის დაბრუნება გადაუწყვეტია. „ჰანზას" თავკაცი ფრანკ პაგელსდორფი ბრაზილიელის ფანია. „ყველაფერი უნდა ვიღონოთ მის გადმოსაყვანად" — მოკლედ განაცხადა მწვრთნელმა. შეგახსენებთ, რომ ჯოვანი ელბერი შარშან ზამთარში, „ლიონიდან" მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" გადავიდა, მაგრამ ამ სეზონში მხოლოდ ოთხჯერ ათამაშეს ძირითად შემადგენლობაში, რის გამოც ელბერმა კლუბის თავკაცი გააკრიტიკა, რასაც ფორვარდის „ბორუსიადან" გაშვება მოჰყვა. ბრაზილიელი ახლა თავისუფალი აგენტია და გუნდის არჩევა შეუძლია.

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. პრემიერლიგა**

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 3 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 23:45 | 4 | მანჩესტერი-უიგანი | 1.30 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.05 |

**ინგლისი. კონფერენსი**

**13 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 51 | ფორესტ გრინი-ბარტონი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

**17 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 52 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 53 | რეინჯერსი-ჰართსი | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 19:00 | 54 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 2.65 | 3.00 | 2.45 | 1.40 | 1.27 | 1.34 |
| 19:00 | 55 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 19:00 | 56 | ლივინგსტონი-აბერდინი | 2.80 | 3.00 | 2.35 | 1.44 | 1.27 | 1.31 |

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 57 | ინვერნესი-სელტიკი | 6.00 | 4.30 | 1.40 | 2.50 | 1.13 | 1.05 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**

**13 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 64 | ეარი-ფორფარი | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |

**შოტლანდია. III დივიზიონი**

**13 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 70 | ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი | 4.60 | 3.70 | 1.55 | 2.05 | 1.15 | 1.09 |

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

**14 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 76 | ლაუტერნი-აინტრახტი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |

**17 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 77 | გლადბახი-აინტრახტი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 18:30 | 78 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 18:30 | 80 | მაინცი-დუისბურგი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 18:30 | 81 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 18:30 | 82 | არმინია-კიოლნი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 18:30 | 83 | შტუტგარტი-შალკე | 2.50 | 3.00 | 2.80 | 1.36 | 1.32 | 1.44 |
| 18:30 | 84 | ლაუტერნი-ვოლფსბურგი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 85 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 20:30 | 87 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |

**იტალია. სერია A**

**17 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 99 | ტრევიზო-ლეჩე | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 23:30 | 100 | ლაციო-იუვენტუსი | 3.90 | 3.10 | 1.90 | 1.72 | 1.27 | 1.17 |

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 101 | კიევო-უდინეზე | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 18:00 | 102 | პალერმო-ლივორნო | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 18:00 | 103 | მილანი-მესინა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 18:00 | 105 | სიენა-პარმა | 2.10 | 3.00 | 3.60 | 1.23 | 1.32 | 1.63 |
| 18:00 | 106 | კალიარი-ასკოლი | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 18:00 | 107 | ემპოლი-ფიორენტინა | 3.10 | 2.90 | 2.35 | 1.49 | 1.33 | 1.29 |
| 18:00 | 108 | რეჯინა-ინტერი | 3.90 | 3.20 | 1.90 | 1.75 | 1.27 | 1.19 |
| 23:30 | 110 | სამპდორია-რომა | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

**17 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 144 | კადისი-ბარსელონა | 5.80 | 3.80 | 1.50 | 2.29 | 1.19 | 1.07 |
| 23:00 | 146 | ბილბაო-ბეტისი | 2.10 | 3.00 | 3.60 | 1.23 | 1.32 | 1.63 |
| 23:00 | 148 | სელტა-დეპორტივო | 2.35 | 3.00 | 2.95 | 1.31 | 1.30 | 1.48 |

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 143 | მალიორკა-ატლეტიკო | 2.45 | 3.00 | 2.80 | 1.34 | 1.30 | 1.44 |
| 20:00 | 147 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 20:00 | 149 | რასინგი-მალაგა | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| 23:45 | 150 | რეალი-ოსასუნა | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 20:00 | 151 | სევილია-სოსიედადი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 20:00 | 152 | ალავესი-ვალენსია | 3.80 | 3.00 | 2.00 | 1.67 | 1.31 | 1.20 |
| 20:00 | 153 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**16 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 165 | ლიონი-ლილი | 1.55 | 3.60 | 5.60 | 1.08 | 1.21 | 2.19 |

**17 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 167 | აიაჩო-პსჟ | 3.20 | 2.90 | 2.30 | 1.52 | 1.33 | 1.28 |
| 23:00 | 168 | ტრუა-სოშო | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 169 | რენი-სტ.ეტიენი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 23:00 | 170 | სტრასბური-მარსელი | 2.95 | 2.90 | 2.40 | 1.46 | 1.32 | 1.31 |
| 23:00 | 171 | ოსერი-ნანსი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 23:00 | 173 | ბორდო-ნანტი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 23:00 | 174 | მეცი-ნიცა | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | 1.33 | 1.44 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 175 | მონაკო-ტულუზი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 21:00 | 176 | ლანსი-ლე მანი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 177 | ბასტია-სედანი | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 188 | სტანდარდი-ანდერლეხტი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 23:30 | 189 | ბეერსხოტი-ბევერენი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 23:30 | 190 | ვარეგემი-შარლერუა | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 23:30 | 191 | მუსკრონი-ლიერსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 23:30 | 192 | ლუვიე-ლოკერენი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 23:30 | 193 | ბრიუსელი-რუზელარე | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 23:30 | 194 | გენტი-ვესტერლო | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 213 | ტილბურგი-უტრეხტი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 472 | უნ.კატოლიკა-სერენა | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| 23:00 | 473 | უნ.ჩილე-კობრესალი | 1.40 | 3.80 | 6.40 | 1.02 | 1.14 | 2.38 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 287 | პაოკ-რენი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 23:45 | 288 | შტუტგარტი-რაპიდი(ბ) | 1.50 | 3.60 | 5.70 | 1.05 | 1.18 | 2.20 |
| 23:45 | 289 | გიმარაეში-ბეშიქთაში | 2.55 | 3.10 | 2.60 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| 23:45 | 290 | ბოლტონი-სევილია | 2.00 | 2.80 | 4.00 | 1.16 | 1.33 | 1.64 |
| 23:45 | 293 | სტრასბური-ცრვენა ზვეზდა | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| 23:45 | 294 | რომა-ბაზელი | 1.50 | 3.50 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 23:45 | 295 | ჰერენვენი-ლევსკი | 1.50 | 3.80 | 5.60 | 1.07 | 1.18 | 2.26 |
| 23:45 | 296 | მარსელი-დინამო(ბქ) | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 286 | მონაკო-ცსკა(ბულ) | 1.55 | 3.80 | 5.50 | 1.10 | 1.20 | 2.24 |
| 23:45 | 291 | პალერმო-ბრიონდბიუ | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 23:45 | 292 | მიდლსბრო-ლიტექსი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 21:30 | 297 | ჰამბურგი-სლავია | 1.45 | 3.70 | 6.80 | 1.04 | 1.19 | 2.39 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 298 | ესპანიოლი-მაკაბი(ფთ) | 1.15 | 5.40 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 3.97 |
| 23:45 | 299 | ჰერტა-სტიაუა | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| 23:45 | 300 | ლანსი-სამპდორია | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 23:45 | 301 | ალკმაარი-გრასჰოპერი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 302 | ბრენტფორდი-ოლდემი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 303 | როვერსი-პორტ ვეილი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 23:45 | 304 | ნორთჰემპტონი-სტივენეიჯი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 305 | ნორვიჩი-უოკინგი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 306 | ბრედფორდი-ბარნსლი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 23:45 | 307 | ოქსფორდი-ჩელტენემი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 308 | ჰისტონი-ნანიტონი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 313 | ზაგლებე-პოლონია | 1.50 | 3.60 | 5.70 | 1.05 | 1.18 | 2.20 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 316 | იურგორდენი-ოლბორგი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **LDV Vans Trophy** | | | | | | |
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 317 | ჰალიფაქსი-სკანთორპი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 23:45 | 459 | მაკლსფილდი-კემბრიჯი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 23:45 | 460 | ხუონსი-პიტერბრო | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 446 | ჰანოვერი-მანჰაიმი | 2.00 | 4.10 | 2.50 | 1.34 | 1.11 | 1.55 |
| 22:30 | 447 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 2.05 | 4.20 | 2.30 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 448 | იზერლონი-აისბარენი | 2.30 | 4.20 | 2.05 | 1.48 | 1.08 | 1.37 |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 449 | აუგსბურგი-დიუსელდორფი | 2.30 | 4.10 | 2.00 | 1.47 | 1.06 | 1.34 |
| 22:30 | 450 | კასელი-ნიურნბერგი | 2.40 | 4.10 | 2.00 | 1.51 | 1.09 | 1.34 |
| 22:30 | 451 | კრეფელდი-მანჰაიმი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 22:30 | 452 | ინგოლშტადი-ჰამბურგი | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| | | **ჰოკეი. ნაკრებები. ევროტური** | | | | | | |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 470 | რუსეთი-შვედეთი | 1.80 | 4.30 | 2.75 | 1.26 | 1.08 | 1.67 |
| 20:00 | 471 | ჩეხეთი-ფინეთი | 1.65 | 4.40 | 3.50 | 1.20 | 1.12 | 1.94 |

# შემონდ უილიამსის ელ-კლასიკური ჯარიმა
## მადრიდი შავ ქართველს გადაეკიდა



შემონდ უილიამსმა მადრიდში დიდი ამბავი დაატრიალა

გურამ [illegible] ფოტო

**თუ** ესპანურ ფეხბურთშია „ელ-კლასიკო", კალათბურთელებმა რა დააშავეს?! „ბარსელონასა" და „რეალის" შერკინება გამორჩეული ფენომენია და ეს კლუბები სპორტის რომელ სახეობაშიც არ უნდა გაეჯიბრონ ერთმანეთს, ინტერესი მაინც განსაკუთრებული ახლავს. ჰოდა, ამ შაბათს კალათბურთელი მეელკლასიკოელები შეებნენ ერთმანეთს და ამ ბრძოლაში საქართველოს ნაკრების შავკანიანი გამთამაშებელი შემონდ უილიამსი წინა ხაზზე იდგა.

უილიამსი საბოლოოდ ამ სუპერკლასიკოს ბოლოს ატეხილი გარჩევისა და გაწევ-გამოწევის მთავარი გმირი გახდა.

საქმე ისაა, რომ ზედ ბოლო წამზე, როცა „ბარსა" 3 ქულით ლიდერობდა, შემონდი მასპინძელთა ხორვატ ლეგიონერ მარკო ტომასზე დაჯარიმდა და ატყდა...

ისე კაცმა რომ თქვას, საკამათო რა იყო, უილიამსი აშკარად დაჯარიმდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მსაჯებმა მასპინძლებს 2 საჯარიმოს ტყორცნის უფლება მისცეს. მადრიდელები გადაირივნენ, ტომასი სამქულიანის ჩაგდებას ცდილობდა, ორიანი ან გვშველოდა და სამი საჯარიმო გვეკუთვნისო.

ამ ეპიზოდს გვარიანი კამათი მოჰყვა და საბოლოოდ ყველაფერი უილიამსისა და ბარსელონელებისთვის კეთილად დასრულდა. მსაჯებმა „პირველი ჩვენება" არ შეცვალეს და „რეალი" 2 საჯარიმოს ამარა დატოვეს. კი ჩააგდო მარკო ტომასმა ის საჯარიმოები, მაგრამ რა მერე... „ბარსას" უპირატესობა ერთ ქულამდე შემცირდა და თამაშიც ასევე დასრულდა.

ვინძლო შემონდს ნამატჩევს მთელი ბარსელონა ემადლიერებოდა, მეტოქეს ბოლო ტყორცნა რომ არ ჩააგდებინა და თანაც, მანამდე, 30-წუთიანი ბურთაობის განმავლობაში, თავისიანებს 7 შედეგიანი გადაცემა ჩამოურიგა. სხვამხრივ უილიამსმა თავი ვერაფრით გამოიჩინა. 4 ქულა ძალიან ცოტაა ბომბარდირობას ნაჩვევი მოთამაშისთვის.

სამაგიეროდ, საქართველოს ნაკრებში უილიამსის მარქაფმა, ლაშა გამყრელიძემ გამოიღო ხელი. ის ავსტრიულ ბუნდესლიგაში მეორე მატჩს ატარებდა, ამჯერად „ობერვარტთან" და უხეირო დებიუტის კვალობაზე ნორმალურად ითამაშა.

გამყრელიძემ 18 წუთი ითამაშა და 8 ქულა მოიხვეჭა. თუ წინა ჯერზე „სვანსს" 6-დან მხოლოდ ერთი სამქულიანი ჩაუგდო, „ობერვარტთან" მან სამიდან ორი შორი ტყორცნა გამოიყენა.

სამწუხარო ისაა, რომ გამყრელიძის კლუბმა ეს შეხვედრაც წააგო.

ვლადიმერ ბოისას ევროლიგაში ამჯერადაც მიეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა და მანაც თავი არ შეირცხვინა. „ბარსელონასი" არ იყოს, სიენელებიც მადრიდის „რეალს" ხვდებოდნენ, თუმც კატალონიელთაგან განსხვავებით დამარცხდნენ. ბოისამ 31 წუთი გაატარა მოედანზე და 9 ქულისა და 4 მოხსნის მოგროვება შეძლო.

იტალიის ჩემპიონატის ტური კი წუხელ გვიან ღამით გაიმართებოდა, თუმც ლეგიონერთა ლიმიტის გამო ბოისა სერია A-ში რომ არ თამაშობს, ყველას მოეხსენება.

ამერიკიდან ძველებური ამბებია: ნიკა ცქიტიშვილი მყარად ზის „მინესოტას" სათადარიგოებში, ხოლო ზაზა ფაჩულია სტაბილურად ირჯება მცირე ჩავარდნების თანხლებით.

აღსანიშნავია, რომ ზაზასთვის ეს კვირა ყველაზე უბარაქო იყო ამ სეზონში. 2 მატჩს ისე არ ჩაუვლია, ზაზას ათქულიანი თამასისთვის არ მიეღწია, ამჯერად კი ასეთი რამ მოხდა. თუმც ფაჩულიამ მომდევნო ორ მატჩში დაამტკიცა, რომ სერიოზულ ჩავარდნაზე ლაპარაკი ზედმეტია.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | ევროლიგა | რეალი | ს | 61:65 | 31 | 9 | 4 | 1 |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა | მილანი | ს | 58:70 | 27 | 10 | 2 | 4 |
| | | ესპანეთის ჩემპიონატი | რეალი | ს | 73:72 | 30 | 4 | 4 | 7 |
| ლაშა გამყრელიძე | პანტერსი | ავსტრიის ბუნდესლიგა | ობერვარტი | ს | 58:72 | 18 | 8 | 0 | 2 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ. | ფინიქსი | ს | 92:112 | 21 | 4 | 4 | 0 |
| | | | დენვერი | ს | 116:125 | 32 | 5 | 5 | 2 |
| | | | იუტა | ს | 83:95 | 34 | 10 | 7 | 1 |
| ნიკა ცქიტიშვილი | მინესოტა | NBA რეგულარული ჩემპ. | იუტა | ს | 91:77 | არ უთამაშია | | | |
| | | | საკრამენტო | ს | 75:77 | არ უთამაშია | | | |
| | | | პორტლენდი | ს | 84:74 | არ უთამაშია | | | |
| | | | ლეიკერსი | შ | 95:82 | არ უთამაშია | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

NBA რეგულარული ჩემპიონატი



ნახეთ, რა კაცი დაბრუნდა!

# ვაშინგტონის შაკი-კი

11 დეკემბერი

**მაიამი 104:101 ვაშინგტონი**

*ძირითადი დრო 95:95*

მაიამი: ვეიდი (41 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი, 4 ჩაჭრა), პეიტონი (21), ონილი (10 ქულა, 11 მოხსნა)

ვაშინგტონი: ბატლერი (28 ქულა, 10 მოხსნა), ეტკინსი (26), არენასი (24)

**კლიპერსი 101:109 დეტროიტი**

კლიპერსი: ბრენდი (36 ქულა, 10 მოხსნა), კამანი (16), მობლი (14)

დეტროიტი: ბილაფსი (25), ჰამილტონი (23), ბ. ვოლესი (13 ქულა, 12 მოხსნა)

**საკრამენტო 110:100 ნიუ ორლეანი**

საკრამენტო: აბდურ-რაჰიმი (23 ქულა, 10 მოხსნა), ველსი (23), სტოიაკოვიჩი (23), ბიბი (17)

ნიუ ორლეანი: პოლი (18 ქულა, 12 მოხსნა), ბრაუნი (17), ვესტი (16)

**პორტლენდი 86:100 ჰიუსტონი**

პორტლენდი: ტელფაირი (17), რენდოლფი (15 ქულა, 13 მოხსნა)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (35)

**შაკილ ონილმა** სწორედ დროულად მოიშუშა ნატკენი კოჭი. სეზონის დაწყებისთანავე დამტვრეული ასოციაციის უმძლავრესი ცენტრი „მაიამი ჰითს" სამკვირიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა. რა დასამალია და, თუმც დუეინ ვეიდი გადასარევ ფორმაში ჰყავთ, მაინც უჭირდათ ფლორიდელებს, განსაკუთრებით ბოლო ხანს — ზედიზედ ოთხი მატჩი დათმეს და ონილი რომ არ მოკეთებოდათ, ალბათ მეხუთესაც მიაყოლებდნენ.

„ვაშინგტონთან" ხელახალი დებიუტისას შაკი სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო შეხვედრაში, 23 წუთში თამაშიდან შვიდჯერ ტყორცნა და საბოლოოდ მხოლოდ 10 ქულა შეკაოწიწა. თუმც მისი ყოფნა მეტოქე გუნდის მაღალ-დაბლებს რომ აფრთხობდა, ესეც საქმეში ჩაეთვლება. თანაც ამ თანაბარ ჯახში შაკმა სწორედ იმ საქმეში გამოიჩინა თავი, რაც ყველაზე ნაკლებად ეხერხება და რაზეც ამერიკა კი არა, მგონი, მთელი მსოფლიო ქირქილებს — მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე ერთი წამით ადრე „მაიამი" 94:95 რომ აგებდა, შაკმა ორიდან ერთი საჯარიმოს ჩაგდება შეძლო და თავის გუნდს ამ მატჩის ოვერტაიმში მოგების შანსი უბოძა. დამატებით დროში კი მასპინძლებს მისი დახმარება დიდად აღართც დასჭირვებიათ, გაილაღა ვეიდმა, ვინც სეზონში პირადსარეკორდო 41 ქულიდან 4 ოვერტაიმის ბოლო წუთზე გააკეთა.

გაცილებით უკეთ მუშაობს მეორე, ახლადმოკეთებული სუპერვარსკვლავი, ჰიუსტონელი ტრეისი მაკგრეიდი — რაც ზურგის ტკივილი დაიურვა, მაკგრეიდი საშუალოდ 27 ქულას იხვეჭს, მისმა გუნდმა კი 5 შეხვედრიდან 4 მოიგო და მალე, ალბათ, თავს დააღწევს სამხრეთ დასავლეთ დივიზიონში მისთვის შეუფერებელ ბოლო ადგილს. პორტლენდში იქაურ „ბლეიზერსს" თიმექმა სეზონში მისთვის უმეტესი, 35 ქულა აართვა და ნამატჩევს ისე ალაპარაკდა, თითქოს მოშიებული კუჭი ჰამბურგერით ამოევსო — ბევრის ჩაგდება ჩემი საქმეა და ჩემს საქმეს რომ ვაკეთებ, ამაში განსაკუთრებული არაფერიაო.

ამ დივიზიონის კიდევ ერთი მკვიდრი, „პასპორტით" ნიუორლეანელი, დროებით კი ოკლაჰომა სითის შეხიზნული „ჰორნეთსი" კალიფორნიას ჩაფრინდა და ისედაც ყველასგან გაწვალებულ „საკრამენტო კინგზს" დიდი ჯაფა შეახვედრა, თუმც ბოლოს მაინც დაუთმო მოგება. „ჰორნეთსის" ლიდერმა და წლეულს ახალბედათა შორის ჯერჯერობით ყველაზე გამორჩეულმა კრის პოლმა იმ თავისი 183-სანტიმეტრიანი და მოუხელთებელი სხეულით მცირე სასწაულები აკეთა — 18 ქულა და 12 პასი გააზერხა, მაგრამ მისი კარგი თამაში მხოლოდ სამნახევარ მეოთხედს ეყო მის გუნდს, დარჩენილი ნახევარმეოთხედეული კი „კინგზისა" იყო.

ექს და ვიცე-ჩემპიონმა „დეტროიტმა" კი ლოს ანჯელესში იმსხვერპლა ყოჩაღი „კლიპერსი", თუმცა მოზვერა ცენტრი ბენ ვოლესი კა დაულილავდა. რომელი ბომბარდირი ვოლესია, არ ვიცი, ალბათ, შაკილ ონილი თუ ეგონათ — ბენი ბურთს რომ იღებდა, ლოსანჯელესელები მაშინვე ხელებში ურტყამდნენ, განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში. ამანაც 22 საჯარიმო ტყორცნიდან (15!) ააცილა, მაგრამ ამ მუშაკაცის ქულები რომ ბევრს ვერაფერს წყვეტს, ეს, მგონი კლიპერსელთა გარდა, ყველამ იცის. ვოლესი აცილებდა, სხვები აგდებდნენ და გამარჯვება საბოლოოდ მაინც „დეტროიტს" დარჩა.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორანჯ ბოულის ქართული ფინალები

## ოქსანას პირველი და ანას მეორე

**ამერიკის** შეერთებულ შტატების, ქალაქ კიბისკეინში, დასრულდა ჩოგბურთელთა უპოპულარულესი ტურნირი „ორანჯ ბოული“, 16 და 18 წლამდელთა შორის. უმცროსებში სამი ჩვენიანი გამოვიდა. 14 წლის ლადო კუხალაშვილი და 13 წლის მარია კალაშნიკოვა პირველ წრეს ვერ გასცდნენ. მარიას დამ, 15 წლის ოქსანამ, კი ტურნირი დაუმარცხებლად ჩაამთავრა. მის მიერ ძლეულთა შორის განთესილი სპორტსმენებიც იყვნენ, ნახევარფინალში კი სულაც პირველ ნომერს, ზელანდიელ საშა ჯონსს აჯობა — 6:1, 6:0.

მეოთხე ქართველმა, ანა ტატიშვილმა, 18-წლამდელთა შორის ითამაშა. იგი ჯერ 15 წლისაა და შეეძლო, უმცროსებშიც გამოსულიყო, თან განთესილთა შორისაც უპრობლემოდ მოხვდებოდა, მაგრამ უკვე 2-3 წლით დიდებში დაიწყო სარეიტინგო ქულების გროვება. „ორანჯ ბოულამდე“ ჩატარებულ ტურნირებში ტატიშვილმა იმდენი მოახერხა, მეცამეტე ნომრადაც განთესეს, თუმც ამჯერად ერთეულებში არ გაუმართლა, პირველ წრეში ბოლივიელ მარია ფერნანდა ალვარესთან დამარცხდა. სამაგიეროდ, წყვილთა შორის დანიელ კაროლინ ვოზნიაკთან ერთად, ხუთიდან ოთხი შეხვედრა მოიგო და მეორე ადგილზე გავიდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# კიმი ერთხელ კიდევ დააფასეს

**საერთაშორისო** ჩოგბურთის მიმომხილველთა ასოციაციამ (ITWA) ბელგიელი კიმ კლაისტერსი წლის ჩოგბურთელ ქალად დაასახელა და ასევე ალიარა მოთამაშედ, რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციაში. ამ ორგანიზაციის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ორივე ტიტული ერთი და იგივე ჩოგბურთელს გადაეცა.

კლაისტერსმა კი წლეულს მართლაც ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა. მართალია, მან წელიწადი რეიტინგში მეორე ადგილზე დაამთავრა, მაგრამ 9 ტიტული მოიგო და კარიერაში პირველად შეძლო „დიდი მუზარადის“ ერთ-ერთ ტურნირზე — აშშ ღია პირველობაზე გამარჯვება. და ეს მაშინ, როცა ტრავმის გამო სეზონის პირველი ნახევარი გაუცდა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ITWA-მ საუკეთესო ჩოგბურთელად მარია შარაპოვა დაასახელა.



ოქსანა კალაშნიკოვა

# აგასის შანხაური გაკვეთილი

**35 წლის** ვეტერანმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ განაცხადა, რომ დამდეგ სეზონში წვივის ტრავმის გამო ალბათ ვერ შეძლებს „დიდი მუზარადის“ პირველ ტურნირზე, ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოსვლას.

აგასიმ ფეხი წლეულს აშშ-ს ღია პირველობის შემდეგ დაიშავა და ნოემბრის ბოლოს შანხაიში გამართულ მასტერსის თასზე სათამაშოდ ტრავმამოუშუშებელი ჩავიდა. იქ ერთი მატჩი კი ჩაატარა, მაგრამ მერე უარი თქვა ასპარეზობაზე, ტრავმა კი მაინც გაუმიზეზდა და ახლა ავსტრალიის ღია პირველობის გამოტოვება მოუწევს.

„ალბათ ავსტრალიაში ჩასვლაზე ხელი უნდა ავიღო, შანხაი კი კარგი გაკვეთილი იყო ჩემთვის. ამის შემდეგ არასოდეს არ გავალ კორტზე, თუ დარწმუნებული არ ვიქნები, რომ ასი პროცენტით მზად ვარ“ — განაცხადა აგასიმ.

ამერიკელმა ასევე თქვა, რომ ალბათ საფრანგეთის ღია პირველობასაც გამოტოვებს, რადგან თიხნარზე თამაში განსაკუთრებულად კარგ ფიზიკურ ფორმაში ყოფნას მოითხოვს და თვით ტურნირიც ძალიან დამღლელია, უიმბლდონისთვის კარგად მომზადებაში კი ხელს შეუშლის.

ისე, აგასის საფრანგეთში სათამაშოდ ალბათ გულიც არ მიუწევს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ის პირველივე წრიდან ეთიშებოდა ასპარეზობას.

**კახა ლომჯარიძე**

# კურნიკოვამ, არაო

**მარტინა** ჰინგისის ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია, რომ შესაძლებელი იყო, აქტიურ სპორტს რუსი ანა კურნიკოვაც დაბრუნებოდა.

შეგახსენებთ, რომ ეს ორი ჩოგბურთელი თითქმის ერთდროულად გამოჩნდა დიდ ასპარეზზე და თითქმის ერთდროულადაც დაანება თავი სპორტს. თუმცა, ჰინგისისგან განსხვავებით, რუსმა ჩოგბურთის თამაშს შოუ-ბიზნესი არჩია და სამოდელო გამოსვლებით უფრო გაითქვა სახელი.

როგორც ჩანს, კურნიკოვას ჯერ კიდევ პოდიუმი უფრო იზიდავს და ამიტომაც არ აპირებს სპორტში დაბრუნებას, თუმც კი იქვე დაამატა, რომ ამ საკითხზე ისევ ფიქრობს და საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

ისე, აჯობებდა, კურნიკოვას ამ საკითხზე აღარც ეფიქრა. რამდენიმე დღის წინ რიო დე ჟანეიროში, ცნობილ კოპა-კაბანას პლაჟზე, სპეციალურად მოწყობილ კორტზე გაიმართა საგამოფენო შეხვედრა სწორედ ამ ორ ჩოგბურთელს შორის. ჰინგისმა ყველას აჩვენა, რომ მას ჩოგბურთის თამაში არ დავიწყებია და რამდენიმე ეფექტური კომბინაციაც გაათამაშა. აი, კურნიკოვამ კი საერთოდ ვერაფერი ვერ გააკეთა კორტზე, პირველი სეტი 6:1 წააგო, მეორე კი წესიერად დაწყებულიც არ იყო, როცა რუსმა უარი თქვა თამაშის გაგრძელებაზე, ხელზე ბებერა გამისკდაო.

ამან კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ჩოგბურთის თამაში კურნიკოვას საქმე აღარ არის, ჰინგისმა კი ამ გამარჯვებით 300 000 დოლარით შეივსო პირადი ანგარიში.

**კახა ლომჯარიძე**



მარტინა ჰინგისი და ანა კურნიკოვა

## რეგულარული ჩემპიონატი



ატლანტელი ერიკ ბულტონი და ჩიკაგოელი შონ ტორნტონი (№29) ცოტაც და მუშტი-კრივს გამართავენ

# ზარმაცი ნიჭიერის გამოცოცხლება

11 დეკემბერი

**კოლუმბუსი 3:2 ნიუ ჯერსი**

*0:1 1:1 1:0 1:0*

**0:1 მარტინი (11), 1:1 ჟერდევი (32), 1:2 ჯიონტა (37), 2:2 ჟერდევი (45), 3:2 ბერარდი (65)**

**სერგეი** ფიოდოროვს ჯერაც შეუძლია, თუნდაც ეპიზოდურად ჯადოსნური თამაში. „ნიუ ჯერსისთან" მატჩის ოვერტაიმში სწორედ მისი საუცხოო პასის შემდეგ გაიტანა ბრაიან ბერარდმა და „კოლუმბუსს" ესოდენ საჭირო გამარჯვება მოუტანა.

„დავინახე", რომ ვილაცა უდიდესი სიჩქარით მოქროდა კარისკენ, ქვეცნობიერად მივხვდი, საით უნდა გამეგზავნა შაიბა და საბოლოოდ ყველაფერი გამოგვივდა", — თქვა მატჩის შემდეგ ფიოდოროვმა.

ასევე აღსანიშნავია მისი თანამემამულე ნიკოლაი ჟერდევის გამოცოცხლება. უაღრესად ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი ჰოკეისტი ამას წინათ ფარმ-კლუბში გადასახლებასაც მოესწრო. როგორც ჩანს, ამან დადებითად იმოქმედა ნიკოლაიზე, მან ორი გოლი მიითვალა.

**ატლანტა 4:5 ჩიკაგო**

*2:3 1:0 1:1 0:0 0:0 0:1*

***ბულიტების სერიაში***

**0:1 ვორობიევი (2), 0:2 შპაჩეკი (12), 0:3 ვორობიევი (13), 1:3 სავარი (18), 2:3 კოვალჩუკი (20), 3:3 კოვალჩუკი (37), 4:3 კოზლოვი (50), 4:4 კიტი (53), 4:5 გადამწყვეტი ბულიტი: ჰოლმკვისტი.**

„**რას** ვიფიქრებდი, რომ თამაშის ბედი ჩემს ყვანჯზე იქნებოდა დამოკიდებული", — გაოგნებული იყო „ჩიკაგოს" ახალბედა მიქაელ ჰოლმკვისტი მატჩის შემდეგ.

გაუკვირდებოდა, აბა, რა იქნებოდა. თამაშის დროს თავი არაფრით არ გამოუჩენია და უცებ ბულიტის შესრულება დააკისრეს. დებიუტანტმა მშვენიერად გაართვა თავი დავალებას — სწორედ მის მიერ ლამაზად შესრულებული დარტყმა აღმოჩნდა გადამწყვეტი.

**ბოსტონი 1:2 ფინიქსი**

*1:0 0:0 0:1 0:1*

**1:0 ლიჩი (3), 1:1 ჯონსონი (42), 1:2 ნადი (61)**

**მინესოტა 2:3 ბუფალო**

*1:1 1:1 0:1*

**0:1 ვანეკი (9), 1:1 მ. კოივუ (12), 2:1 როლსტონი (32), 2:2 დრური (40), 2:3 გრირი (57)**

# პიტსბურგი კვლავ ხიფათშია

**ბოლო** დღეებში „პიტსბურგის" ბანაკიდან სამი არასანუგეშო ამბავი მოვიდა. ყველა მარიო ლემიეს ეხება. გულთან დაკავშირებულ პრობლემებზე უკვე ვაუწყეთ მაყურებელს. შაბათს მან სრული სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა და საავადმყოფოდან გამოსულმა საზოგადოებას განუცხადა, რომ ტურინის ზამთრის ოლიმპიადაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ცხადია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

სხვათა შორის ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა კანადის ნაკრების გაფართოებულ სიაში მოხვედრილი მოთამაშე უარს ამბობს ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. პირველი დეტროიტელი სტივ აიზერმანი გახლდათ.

კვირას ლემიემ კიდევ ერთი ინფორმაციით დაანაღვლიანა გულშემატკივრები — 2007 წელს კლუბს ეწურება სტადიონ „მელონ არენას" იჯარის ვადა და გუნდი პიტსბურგში ალბათ ველარ დარჩებაო.

საქმე ისაა, რომ „მელონ არენა" ლიგაში უძველესია და მისი კაპიტალური რემონტი შეუძლებელია. ამიტომაც ქალაქში ახალი სტადიონი უნდა აშენდეს, საამისო ფული კი გუნდს არა აქვს.

წლეულს სავარაუდოდ „პიტსბურგმა" 7 მილიონი დოლარი უნდა დაკარგოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ კლუბი თასის მეორე რაუნდში მოხვდება, ხოლო მატჩებზე მაქსიმალური დასწრება იქნება, რაც ჯერჯერობით ძნელი დასაჯერებელია...



მარიო ლემიე

„ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, არის ის, რომ დავსხდეთ და ვიფიქროთ, რაშია გამოსავალი", — თქვა ლემიემ თავის განცხადებაში.

ამბობენ, კანზასს სურს კლუბის მიღებაო...

**სამველ ღარიბიანი**

# ლონდონელთა ენთუზიაზმი

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი ლოზანაში შეხვდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებს, რომლებიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო საქმიანობით არიან დაკავებულნი. ჟაკ როგი მთელი საათის განმავლობაში ესაუბრებოდა მინისტრ ტესა ჯოუელს. საუბრის მერე პრესისთვის გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამი იყო იმ დიდ ენთუზიაზმზე, რომელსაც დიდი ბრიტანეთი ამჟღავნებს ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ.

# სოკ-მა მეოცე საუკუნის კორუმპირებული მოკვეთა

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებმა ფრანგ გი დრიუს კორუფციაში გარევა არ აპატიეს და უმუშევარი დატოვეს. ასოშეითედ პრესის ცნობით, საფრანგეთის სპორტის ექსმინისტრისა და 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის (110 მეტრზე თარჯრბენში), ქრთამის აღება სპორტულ საქმიანობასთან არაა დაკავშირებული. ეს საფრანგეთის სასამართლოსაც დაუდასტურებია, მაგრამ...

1990-93 წლებში დრიუ სამშენებლო კომპანიაში მუშაობდა. არარეალურად მაღალი შემოსავალიც მიუღია და გამოძიებაც წლების წინ დაწყებულა.

# მედალიც ამას ჰქვია

**გამოვიდა** პეკინის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი 29 სასუვენირო მედალი. თითოეული მათგანი ოქროსგანაა დამზადებული და ხუთ კილოგრამს იწონის. ეს სამახსოვრო მედლები უახლოეს ხანში მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში აუქციონებზე გამოჩნდება. ერთი მედლის თავდაპირველი ღირებულება 130 ათასი დოლარია.




# ტურინული იდეა: ფუნჩულა კისერზე

**წესია,** ყოველი შემდეგი ოლიმპიადის ორგანიზატორები ცდილობენ, წინას აჯობონ, ამასთან, მაქსიმალურად ორიგინალურნიც გამოჩნდნენ. ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშები კარსაა მომდგარი და აგერ იტალიელებმაც გამოაჩინეს თავიანთი ორიგინალურობა.

ამ დღეებში ტურინს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია, მედლების პრეზენტაციაზე ესტუმრა. არავინ იცის, სტუმრებმა ჯილდოები მოიწონეს თუ არა, სახელი კი შეურჩიეს — „ფუნჩულა" ჩვეულებრივი ლითონისგანაა დამზადებული, თუმც გული ამოჭრილი აქვს და ყელზე ჩამოსაკიდი წითელი ლენტი პირდაპირ ზედაა გამონასკვული.

1992 წელს ფრანგულ ალბერვილში პრიზიორები მთის ბროლისგან დამზადებულ მედლებს იღებდნენ. ორი წლის შემდეგ ლილეჰამერული ჯილდოები შავი ფერის იყო, ფორმის შეცვლის იდეა კი — ტურინელებისაა.

# ორი კორეა, ორი პოზიცია

**ჩრდილო** და სამხრეთ კორეის სპორტული ხელმძღვანელები ვერ შეთანხმდნენ პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ და აზიის სპორტულ თამაშებზე ერთიანი გუნდის ჩამოყალიბების თაობაზე.

ამ ორმა ქვეყანამ ამ თამაშებზე ერთობლივად გამოსვლის თაობაზე გადაწყვეტილება პირველ ნოემბერს მიიღო, მაგრამ ბოლოს, დიდი სჯაბაასის შემდეგ, ვერ შეთანხმდნენ გუნდში მხარეთა წარმომადგენლების რაოდენობაზე. სამხრეთ კორეის წარმომადგენლები თანახმა არიან, გაერთიანებულ ნაკრებში ორივე ქვეყნის მონაწილეთა თანაბარ რაოდენობაზე, ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლები კი ითხოვენ გუნდში იმ სპორტსმენების მოხვედრას, რომლებიც შიდა შეჯიბრებებში თავს გამოიჩენენ. თუმცა, დავა ამით არ დამთავრებულა და, შესაძლოა, მხარეები მომავალში ერთ საერთო აზრამდე მივიდნენ.

# შვედთა საუკეთესო ქალი




**სტოკჰოლმის** სპორტულ ჟურნალისტთა კავშირმა 61-ედ გამოავლინა შვედეთის საუკეთესო სპორტსმენი ქალი და კაცი. წლეულს ქალთა შორის საუკეთესოდ აღიარეს სიმაღლეზე მხტომელი კაისა ბერგკვისტი, რომელიც გუშინ გახდა აგრეთვე „გმირობის მედლის" მფლობელიც.

ეს მედალი საუკეთესო შვედ სპორტსმენებს სტოკჰოლმის გაზეთ SVENSKA DAGBLADET-ის მიერ 1925 წლიდან გადაეცემათ.

კაისა წლეულს ჰელსინკში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა — სულ რაღაც ერთი წლის მერე, რაც ტერფის მძიმე ტრავმა მიიღო. ფინეთის დედაქალაქში იგი მსოფლიოს რეკორდის დამყარებას (210 სმ) ცდილობდა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ახლა კაისა ამბობს, რომ გაისად ამ შედეგს უთუოდ მიაღწევს.

კაისა ბერგკვისტი საგაისოდ ფიქრობს მოსკოვში დარბაზების მსოფლიოს ჩემპიონატში, აგრეთვე შვედეთის ქალაქ გეტებორგში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას.



# კუნფუ, ფეხბურთი და შაოლინელი ბერები

*შაოლინის მონასტერი, რომელიც ჩინეთში, ხენანში მდებარეობს, 1500 წლისაა და მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. ეს მონასტერი კუნფუს ტრადიციებითაა განთქმული და მის ბერებს განუზრახავთ ტელეეთერში გაუშვან საკუთარი შოუ, რომლის მაყურებელიც თავად აირჩევს ამ სახელგანთქმული ორთაბრძოლის ყველაზე კარგ მცოდნეს*



კუნფუ თურმე შეიძლება ფეხბურთელებსაც გამოადგეთ



შაოლინელი ბერები სასწაულებს სჩადიან

**ამ** გადაცემას „ჩინური კუნფუს ვარსკვლავთა მოძიება" ეწოდება. მისი მაყურებელი საკუთარი მოსაზრებისამებრ უპირატესობას მიანიჭებს ამა თუ იმ მონაწილეს.

„ამ გადაცემაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელიც კუნფუში ვარჯიშობს. მნიშვნელობა არაა აქვს არც მის ეროვნებას, არც კანის ფერს და არც კუნფუს სტილს, რომელსაც ის მისდევს" — ამას იუწყება სახელმწიფო სააგენტო სინხუა. თუმცა, არის ერთი გამონაკლისი — კონკურსში არ დაიშვებიან არც ქალები და არც თავად შაოლინის ბერები.

ეს გადაცემა მოიფიქრა ბერების წინამძღოლმა, რომელსაც სურს, რომ მათ მონასტერზე რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა შეიტყოს მთელს მსოფლიოში.

თავდაპირველად მსაჯებმა და მაყურებლებმა მონაწილეთა რაოდენობა 108-მდე უნდა შეამცირონ, რაც ერთ-ერთი კლასიკური ჩინური რომანის გმირთა რაოდენობის ტოლია. მერე ფინალისტებს შესაძლებლობა მიეცემათ კინოფილმების სერიალში



შაოლინელი ბერები მთელ მსოფლიოში არიან ცნობილნი

გადაღებისა, რომელიც მოუთხრობს ამ მონასტრის უძველეს და უმდიდრეს ტრადიციებზე. თუმცა, თავად კუნგფუ ისედაც ცნობილი და ძალზე პოპულარული აღმოსავლური ორთაბრძოლაა. მის შესახებ არაერთი ფილმი გადაუღიათ. მაგალითად, ჰონკონგის კინოინდუსტრიამ რამდენიმე წლის წინათ გადაიღო ფილმი ამ ორთაბრძოლის შესახებ, რომელშიც შერწყმულია კუნფუ და ... ფეხბურთი. ფილმს ასეც ეწოდება: „შაოლინის ფეხბურთი", რომელმაც ეკრანებზე გამოსვლისთანავე ჰონკონგში გამართულ კინოფესტივალზე შვიდი პრემია მოიპოვა. მათ შორის საუკეთესო ფილმისთვის და საუკეთესო ვიდეო ეფექტებისთვის. დაჯილდოვდა აგრეთვე ფილმის რეჟისორი და მსახიობი, რომელიც მთავარ როლს ასრულებდა. მაშინ ფილმის რეჟისორმა სტივენ ჩოუმ, როცა ჯილდოს იღებდა, მადლობა გადაუხადა კუნფუს უბადლო ოსტატ ბრიუს ლის, რომელმაც იგი კინოფილმის გადასაღებად შთააგონა.

ასე იყო თუ ისე, ეს ფილმი ადგილობრივი კინემატოგრაფისთვის ყველაზე შემოსავლიანი გახდა. სულ რაღაც ერთ წელიწადში ამ ფილმმა თითქმის 8 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, რაც ადგილობრივი რეკორდი იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



რონალდ რაიტი

# რონალდ რაიტი ტეილორთან ჩხუბისთვის ემზადება

**გასული** უქმეები პროფესიული კრივისთვის მეტად დატვირთული გამოდგა. ერთბაშად მსოფლიოს რამდენიმე კუთხეში მოეწყო პროფესიონალ მოკრივეთა შეხვედრები.

ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკულ ანკასვილში გამართული ორთაბრძოლა იყო, სადაც ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა პირველ საშუალო წონაში, რონალდ „ვინკი" რაიტმა მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა ავსტრალიელი სემ სოლიმანი. ამ მოგებით რაიტმა დაამტკიცა WBC და WBA-ს ტიტულებზე პრეტენდენტობის სტატუსი საშუალო წონაში.

შეგახსენებთ, რომ ამ ქამრებს დღესდღეობით ჯერმეინ ტეილორი ფლობს.

„მინდა, რაც შეიძლება მალე შევხვდე ტეილორს, მაგრამ თუ ჩემამდე ის სხვასთან იჩხუბებს, არც მე ვიჯდები გულხელდაკრეფილი", — განაცხადა რაიტმა.

ლონდონში ბრიტანეთის თანამეგობრობის ტიტულისთვის ბრძოლაში კი მაიკ ტაისონის დამცემმა დენი უილიამსმა 2000 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ზემძიმე წონაში ოდლი ჰარისონი დაამარცხა. უილიამსმა მოწინააღმდეგის „ცემა" რინგსგარეთაც გააგრძელა და პრესკონფერენციაზე თავის მეტოქეზე განაცხადა: „ის კარგი მოკრივეა, მაგრამ სიმამაცე აკლია".

ინგლისის დედაქალაქში კიდევ ერთი ორთაბრძოლა ჩატარდა — ბრიტანელთა მთავარმა იმედმა და ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, 19 წლის ამირ ხანმა თანამემამულე დანიელ ტორპი დასცა.

გაიმართა ორთაბრძოლები გერმანიის ქალაქ ლაიფციგშიც. აქ სომეხი არტურ აბრახამი ჩემპიონი გახდა საშუალო წონაში IBF-ის ვერსიით და ეს ნიგერიული კინგსლი იკეკეს ნოკაუტში ჩაგდებით მოახერხა.

პუერტო-რიკოში კი მაყურებლები კრივის ისტრიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე შეხვედრის მოწმენი გახდნენ. ამერიკელმა ზემძიმეწონოსანმა შენონ ბრიგსმა პირველივე დარტყმით დაანოკაუტა ბრაზილიელი ლუჩანო ზოლოინი. არადა, ბრაზილიელს აქამდე მატჩიც არ წაეგო, ხოლო ჩატარებული 23 ბრძოლიდან, 21 ნოკაუტით ჰქონდა მოგებული.

დღის მეორე დაპირისპირებაში, ადგილობრივ გულშემატკივართა გასახარად, WBO-ს ვერსიით ჩემპიონმა მინიმალურ წონაში, ივან კალდერონმა დასცა IBF-ს ვერსიით ექსჩემპიონი, კოლუმბიელი დანიელ რეისი.

**კახა ლომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP მონტე კარლოდან

ფორმულა 1-ის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო, მონაკოს პრინცი ალბერ მეორე და რალის ჩემპიონი სებასტიენ ლოები

# ჩემპიონთა შოუ მონაკოში

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის წეს-დებულებით, ოფიციალურად ახლაღა გაცხადდა სამი თვის წინ ცნობილი ამბავი, რომ ესპანელი მძღოლი ფერნანდო ალონსო და მისი ფრანგული გუნდი „რენო" ფორმულა 1-ში მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონები არიან.

ეს მოხდა მონტე კარლოში, ჩემპიონთა ტრადიციულ გალა-შოუზე. ტრიუმფატორებს სანუკვარი პრიზები გადასცეს ავტოფედერაციის პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ და მონაკოს ახალმა პრინცმა ალბერ მეორემ.

წლეულს ავტომრბოლთა შორის უბედნიერესმა და, ბუნებრივია, გულაჩუყებულმა ნანდომ ამაღელვებელი სამადლობელი წარმოთქვა:

„მე მხოლოდ 24 წლის ვარ, ვუყურებ ამ ჯილდოს და უკვე იმაზე ვფიქრობ, როცა შვილები მეყოლება, როგორ მოვუყვები, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ვიყავი. ეს მონაპოვარი ჩემთვისაც და მთელი ჩვენი გუნდისთვისაც უდაძაბულესი შრომის შედეგი და მთავარი ოცნების განხორციელებაა. იმედი მაქვს, რომ ეს გამარჯვება მხოლოდ დასაწყისია. ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ და მჯერა, კიდევ არაერთხელ დავბრუნდები ამ სცენაზე ჯილდოს მისაღებად. ცხოვრებაში მთავარია, იყო ბედნიერი და დღეს მე მართლაც ბედნიერი ვარ."

შეგახსენებთ, რომ ფერნანდო ალონსო „სამეფო რბოლების" ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა, ფრანგულმა ავტოგიგანტმა „რენომ" კი პირველად დაისაკუთრა გუნდური, ანუ კონსტრუქტორთა თასი.

გია ახალაძე



FIA-ს ვიცე-პრეზიდენტი ბერნი ეკლსტოუნი მეუღლითურთ



AFP მონტე კარლოდან

„რენოს" იტალიელი ბოსი ფლავიო ბრიატორე



AFP მონტე კარლოდან

მიხაელ და კორინა შუმახერები

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge